



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი**

სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

**საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებასთან
დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები**

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

მარიამ კობაური

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

ნიკოლოზ ფიცხელაური

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია -----	3
Annotation -----	4
შესავალი -----	5
თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა -----	7
თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი -----	9
2.1. არბიტრაჟის ზოგადი მიმოხილვა -----	9
2.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი შინაარსი -----	12
2.3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურა -----	14
2.4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები -----	18
2.5. საჯარო წესრიგის განმარტება და საჯარო წესრიგი, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი -----	27
2.6. სასამართლო პრაქტიკა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე -----	35
2.7. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხი სხვა ქვეყნების მაგალითზე -----	40
თავი III. კვლევის შედეგები -----	45
დასკვნა -----	47
გამოყენებული ლიტერატურა -----	49

ანოტაცია

არბიტრაჟმა, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებამ, მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა მთელს მსოფლიოში. არავისთვის სიახლეს აღარ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სასამართლოში დავა ასოცირდება გაჭიანურებულ სასამართლო პროცესებთან, უარყოფით ემოციებთან, დიდ მატერიალურ დანახარჯებთან, ხშირ შემთხვევაში, არასასურველ შედეგთან. არბიტრაჟი განუყოფელი ნაწილი გახდა ბიზნესის, რომელსაც სჭირდება სწრაფი, მოქნილი, ნაკლებ ხარჯიანი, კონფიდენციალურობის დაცვით გარანტირებული დავის გადაწყვეტის საშუალება. თუმცა აუცილებელია შესწავლილი და გაანალიზებული იქნეს ის პრობლემები და ხარვეზები, რაც დღევანდელ ქართულ რეალობაში დგას არბიტრაჟთან მიმართებაში.

წინამდებარე ნაშრომი ეხება საარბიტრაჟო წარმოების ისეთი მნიშვნელოვანი ეტაპს, როგორც არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საუბარია ამ პროცესთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე, განხილულია ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები, მათ შორისაა, წინააღმდეგობა საჯარო წესრიგთან. საჯარო წესრიგის ერთიანი ცნება არ არსებობს, რაც ხშირად ხდება სასამართლოს მხრიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსში ჩარევის საფუძველი. ნაშრომში ასევე განხილულია სასამართლო პრაქტიკაში არსებული მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებთან დაკავშირებით, მოყვანილია რამდენიმე უცხო ქვეყნის მაგალითი.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად თემას, რომელიც შედგება თავებისა და ქვეთავებისაგან, დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Annotation

Arbitration, as an alternative way of dispute resolution, has taken an important role in the world. It is no longer a novelty for anyone the fact, that disputes in court are associated with protracted litigations, negative emotions, large material costs, and often, adverse outcomes. Arbitration has become an inseparable part of a business, which needs a quick, flexible, less costly, confidential means of dispute resolution. However, it is necessary to study and analyze the problems and shortcomings that exist in today's Georgian reality concerning arbitration.

The present paper deals with such an important stage of arbitration proceedings as the recognition and enforcement of arbitral awards, it discusses the legal issues regarding this process, the grounds for refusal of recognition and enforcement, including non-compliance with public order. There is no unified notion of the public order, which often becomes the basis for the court to interfere with the content of an arbitral award. The paper also examines important and interesting issues of judicial practice in relation to the grounds for rejection of recognition and enforcement of arbitral awards, citing examples of several foreign countries.

The paper includes an annotation, a table of contents, an introduction, a major topic consisting of chapters and subchapters, a conclusion, and a bibliography.

შესავალი

თემის აქტუალობა: განსახილველი თემის შერჩევა განაპირობა მისმა აქტუალობამ. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებზე მოთხოვნა უფრო და უფრო იზრდება, თუმცა მის სწრაფ განვითარებას ხელს უშლის საკანონმდებლო ხარვეზები, მანკიერი სასამართლო პრაქტიკა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებასთან მიმართებაში, არბიტრაჟებისადმი უნდობლობა. აუცილებელია გამოიკვეთოს არბიტრაჟის უპირატესობები, განვითარდეს და დაიხვეწოს. კვლევა არსებული პრობლემების და მათი აღმოფხვრის გზების ძიებას ემსახურება, რაც დაკავშირებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან. საკითხის აქტუალობას განაპირობებს ასევე სასამართლოების მიერ საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა, კერძოდ, საქართველოში არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ნაწილში. ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების დეტალური განხილვა, მათ შორის, უცხო ქვეყნის მაგალითებზე, ხელს შეუწყობს უფრო თანმიმდევრული პრაქტიკის განვითარებას.

კვლევის მიზანი: წინამდებარე თემის მიზანია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების დეტალური განხილვა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების შესწავლა, პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოკვეთა, მათ შორის, ხარვეზების, დაკავშირებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის მნიშვნელოვან საფუძველთან - წინააღმდეგობა საჯარო წესრიგთან, მათი აღმოფხვრის გზების ძიება, კანონმდებლობის შესწავლა და სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება, რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ამოცანა: საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების, რომელიც დაკავშირებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან, გაანალიზება, სასამართლო პრაქტიკის შესწავლა, სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა, რაც ეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ვადებს, საჯარო წესრიგის ბუნდოვანებასთან დაკავშირებულ საკითხების შესწავლა, მის მიმართ არსებული მიდგომებისა და სასამართლოს როლის განსაზღვრა.

კვლევის მეთოდები: ნაშრომის ფარგლებში გამოყენებული იქნება კვლევის შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, სტატისტიკური მეთოდი. ნაშრომის უმთავრესი მიზანია არბიტრაჟის უპირატესობების გაცნობა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების

ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების განხილვა. კანონმდებლობის შესწავლისას გამოყენებულ იქნა ნორმატიული კვლევის მეთოდი. ნაშრომში განხილულ იქნა სასამართლო პრაქტიკა და ის პრობლემური საკითხი, რომელიც შეეხება საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმას.

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ თემა შეხებოდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რაც დაკავშირებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან. გამოყენებული იქნა ქართულენოვანი ლიტერატურა, კერძოდ: გიორგი ცერცვაძის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“, არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, ქეთევან ანდლულაძის ნაშრომი თემაზე „საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსის ნამდვილობა (შედარებით სამართლებრივი ანალიზი გაეროს მოდელურ კანონთან)“, ნიკოლოზ ფიცხელაურის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის, ლევან გოთუას სადისერტაციო ნაშრომი თემაზე „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“, არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში - სოფიო ტყემალაძე და სხვები, სტივენ მ. ოსტერმილერისა და დილენ რ. სვენსონის „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში“, არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში - სოფიო ტყემალაძე და სხვები, გიორგი თითბერიძის კომენტარი - საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, სოფიო ტყემალაძის - „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), დავის ალტერნატიული გადაწყვეტა (წელიწდეული), საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გამორიცხვა მხარეთა წინასწარი შეთანხმებით - რამდენიმე მოსაზრება UNCITRAL-ის მოდელური კანონის მაგალითზე.

მნიშვნელოვანია მოცემულ ლიტერატურაში წარმოდგენილი სასამართლო პრაქტიკა, ჩატარებული კვლევები, არბიტრაჟის მნიშვნელობაზე აქცენტირება, მანკიერი პრაქტიკის გამომწვევი მიზეზების დადგენა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების განხილვა. პროფესორ ნიკოლოზ ფიცხელაურის ნაშრომში წარმოდგენილია მსჯელობა არბიტრაჟის მნიშვნელობაზე: „არბიტრაჟის გაძლიერება მეწარმეობისა და ეკონომიკური სფეროს წინსვლისა და ამ

პროცესის დროს წარმოშობილი დავების ეფექტურად გადაწყვეტის ერთ-ერთი უპირველესი წინაპირობაა, ვინაიდან საარბიტრაჟო პროცესი „ურთიერთდაკმაყოფილების ეფექტის“ მატარებელია. მხარეები პროცესის მსვლელობისას ერთმანეთს მიიჩნევენ არა როგორც მტერს და მოწინააღმდეგე მხარეს, არამედ როგორც აუცილებელ მონაწილეს „მეგობრულ პროცესში“ გარკვეული უთანხმოების მოსაგვარებლად. აღნიშნული პრობლემის დროული და სამართლიანი გადაწყვეტა კი ორივეს წისკვილზე ასხამს წყალს, ამიტომ საარბიტრაჟო სამართალწარმოების შედეგი არის უფრო ერთობლივი და მშვიდობიანი. ამის საწინააღმდეგოდ კი სახელმწიფო სასამართლოებს მიიჩნევენ შედარებით „შეურაცხმყოფელად“. იგი მკაცრად გამიჯნავს გამარჯვებულსა და დამარცხებულს. ბიზნესგარემოში სასამართლოში ჩივილი არაპარტნიორულ და არამეგობრულ ტონად ითვლება.”¹ საინტერესოა მსჯელობაა საჯარო წესრიგის მნიშვნელობასა და სახეებზე, რომელიც გვხვდება ზემოთ დასახელებულ ლიტერატურასა თუ ნაშრომებში.

გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული მასალაც, კერძოდ: საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“.

წინამდებარე ნაშრომში ვხდებით ასევე არაერთ სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც ეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს. მათ შორის, მოყვანილია უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა. გამოყენებულია ნიუ-იორკის კონვენცია და UNCITRAL-ის მოდელური კანონი.

ასევე დამეხმარა ინტერნეტში წარმოდგენილი ლიტერატურა, სასამართლოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკა, რათა სრულყოფილი სახე მიმეცა ნაშრომისათვის.

¹ ნიკოლოზ ფიცხელაური, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბილისი, 2015, გვ. 52-53

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

2.1. არბიტრაჟის ზოგადი მიმოხილვა

სოციალური ურთიერთობები არ არსებობს განსხვავებული შეხედულებების გარეშე. განსხვავებული შეხედულებები და მოსაზრებები კი წარმოქმნის კონფლიქტს, რაც საზოგადოების განვითარების ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება.

ბურინგ-ულეს განმარტებით, კონფლიქტი არის მდგომარეობა, როცა ორი ან მეტი სუბიექტის ინტერესები ერთმანეთთან ისეთ წინააღმდეგობაში მოდის, რომ ერთდროულად მათი სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელია. დავის წარმოშობა ნებისმიერი ეკონომიკური პროექტისათვის, ან შედარებით მცირე მნიშვნელობის გარიგებისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. უბრალო გაუგებრობასაც კი შეუძლია ჩაშალოს დიდი შრომის ფასად მიღწეული შეთანხმება.² სწორედ ამიტომ აუცილებელი გახდა სამართლებრივი დაცვის ეფექტური მექანიზმის შემუშავება და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზების მოძიება. დროში გაწეილი სასამართლო განხილვები, არასასურველი შედეგი, ზედმეტი ხარჯი, უარყოფითი ემოციები - არ არის ის, რაც სჭირდება ბიზნეს სამყაროს.

დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - Alternative Dispute Resolution (ADR) არის დავის გადაწყვეტის მექანიზმი, რომლის გამოყენებისას დავის გადაწყვეტა არ ხდება ეროვნული სასამართლოს მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, დავა განიხილება და წყდება მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, დავის გადაწყვეტის ისეთი საშუალების გამოყენებით, როგორც არის არბიტრაჟი, მედიაცია, კონსილიაცია ან დავის განხილვის სხვა არა სასამართლო მექანიზმით.³

არბიტრაჟის წესით საქმის განხილვა აღიარებული პროცედურაა სამართლის სხვადასხვა სისტემაში, რომელიც დავის მხარეებს სთავაზობს სასამართლო პროცესზე უფრო სწრაფ და ფინანსურად ხელსაყრელ წესებს, სასამართლოსთვის დადგენილი წესების გვერდის ავლით.⁴

დღესდღეობით თანამედროვე მსოფლიოს ბიზნეს სამყარო წარმოუდგენელია არბიტრაჟის ინსტიტუტის გარეშე და მისი უდავო უპირატესობების გამო იგი არის

² გიორგი ცერცვაძე, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, გვ. 11.

³ ბექა ინჯია, ნათია ლაპიაშვილი, არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, რედ. ლადო ჭანტურია, საქართველო, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016, გვ. 12.

⁴ ქეთევან ანდლულაძე, ნაშრომი თემაზე: საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსის ნამდვილობა (შედარებით სამართლებრივი ანალიზი გაეროს მოდელურ კანონთან), თბ., 2013, გვ. 7

კომერციული წრებისათვის დავის გადაწყვეტის პრაქტიკულად უალტერნატივო ფორმა. ამის მიზეზი კი არის ის უპირატესობები, რაც მას გააჩნია სახელმწიფო სასამართლოებთან შედარებით. საყოველთაოდ დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ საარბიტრაჟო სასამართლო შედარებით სწრაფი და ხელმისაწვდომი პროცესია. არბიტრაჟი ნაკლებად შეზღუდულია ფორმალური ნორმებისაგან ვიდრე სასამართლო. იგი არ არის სხვა პროცესებისგან დატვირთული, ამიტომ შეუძლია კონკრეტულ საქმეზე კონცენტრირება.⁵

არბიტრაჟის დადებითი მხარეებიდან უფრო კონკრეტულად უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- სისწრაფე და მოქნილობა - დაადასტურა ფინანსური სექტორის წარმომადგენელმა, რომელმაც განაცხადა, რომ არბიტრაჟი გადაწყვეტილებას იღებს საშუალოდ საარბიტრაჟო სარჩელის შეტანიდან 1,5 თვის ვადაში.

- გაწეილი სასამართლო პროცესებისათვის თავის არიდება - დაადასტურა თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულმა სტატისტიკამ. მაგალითისთვის, 2019 წლის განმავლობაში სასამართლოში სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შევიდა 11203 საქმე, იმავე წელს იქნა დასრულებული 13726 საქმე, წლის ბოლოს განუხილველ საქმეთა ნაშთმა შეადგინა 20233.⁶ რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს მინიმუმ 1 წელი სჭირდება იმისათვის, რომ განიხილოს და გადაწყვიტოს ისეთი დავა, როგორც არის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა.

- გასაჩივრების შეზღუდული შესაძლებლობა - არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

- სასამართლოსთან შედარებით არაფორმალური გარემო - რამდენიმე არბიტრაჟის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ იქ არსებული გარემო ნაკლებად სტრესულია მხარეთათვის და არსებითად განსხვავდება სასამართლო დარბაზისაგან. ეს კი ნიშნავს ნაკლებ უარყოფით ემოციას ორივე მხარისათვის.

- განსჯადობაზე შეთანხმების შესაძლებლობა - მხარეებს შეუძლიათ თავად შეთანხმდნენ დავის განხილვის ადგილზე, რაც პირდაპირ კავშირშია ნაკლებ დანახარჯთან.

⁵ ნიკოლოზ ფიცხელაური, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბილისი, 2015, გვ. 61

⁶ <https://tcc.court.ge/ka/Statistics>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 11.05.2020.

- კონფიდენციალურობა - აღნიშნული პირდაპირ არის გათვალისწინებული არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით.

- მხარეების შესაძლებლობა თავად განსაზღვრონ დავის განხილვის პროცედურა - აღნიშნულ უფლებამოსილებას მათ კანონი ანიჭებს.

რაც შეეხება უარყოფით მხარეს, ყურადღებას გავამახვილებ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესზე. არბიტრაჟის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სჭირდება სასამართლოს მხარდაჭერა. იმისათვის, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელემ აიღოს სააღსრულებო ფურცელი, უნდა მიმართოს სააპელაციო სასამართლოს. აქვე დავძენ, რომ არსებობდა კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, რომლის საფუძველზე არბიტრაჟს შეეძლო სააღსრულებო ფურცლის გაცემა და ამ ყველაფერმა გამოიწვია ე.წ. ჯიბის არბიტრაჟების შექმნა, არბიტრაჟი გახდა მიკერძოებული, რის გამოც დღემდე ვერ დაიბრუნა ნდობა. ალოგიკურია, სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილება კომერციულ იურიდიულ პირს ჰქონდეს. არბიტრაჟის კომპეტენცია გადაწყვეტილების გამოტანით შემოიფარგლება.⁷ როგორც აშშ-ის უზენაესი სასამართლოს წევრმა კლარენს ტომასმა ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, საქმესთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა, რომელიც აღარ საჭიროებს დასტურს აღსასრულებლად სხვა რომელიმე ორგანოს მხრიდან, შეიძლება ჩაითვალოს კიდევ „კვინტენსეციურ სამოსამართლო ფუნქციად“. გაავლო რა პარალელი მოსამართლისა და არბიტრის როლს შორის, მოსამართლე ტომასმა ხაზი გაუსვა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, თავისი არსით, ვერ და არ არის ისეთი „უნიკალური თვისების“ მატარებელი, როგორც სასამართლო აქტი, ვინაიდან, ხელისუფლების დანაწილების პირობებში მხოლოდ სასამართლოს აქვს მინიჭებული უფლება, „გადამწყვეტად იმოქმედოს [...] [კერძო] უფლების წინააღმდეგ“.⁸

უარყოფით მხარესთან დაკავშირებით პასუხი შეიძლება მოიძებნოს სააპელაციო სასამართლოს სტატისტიკაში. სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული 2018 წლის სტატისტიკის მიხედვით, წლის დასაწყისისათვის დაუმთავრებელ საქმეთა ნაშთი შეადგენდა 634-ს, შემოსულ საქმეთა რაოდენობა - 3193-ს, დამთავრებულ საქმეთა რაოდენობა - 2694, დაუმთავრებელ საქმეთა რაოდენობა - 1133.⁹ 2019 წელს კიდევ უფრო

⁷ გიორგი ცერცვაძე, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, გვ. 100

⁸ ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გამორიცხვა მხარეთა წინასწარი შეთანხმებით - რამდენიმე მოსაზრება UNCITRAL-ის მოდელური კანონის მაგალითზე, დავით აბესაძე, VI გამოცემა, 2017, გვ. 39

⁹ http://www.tbappeal.court.ge/appealAllFiles/files/appeal_docs/1547040791__-756195069.pdf - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 11.05.2020

მომატებულია დაუმთავრებელ საქმეთა ნაშთი და შეადგინა 3795.¹⁰ მაშინ, როდესაც „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით საკმაოდ მოკლე ვადაა დაწესებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე გადაწყვეტილების გამოსატანად, რის შესახებაც უფრო კონკრეტულად საუბარი იქნება მომდევნო თავებში. ცნობისა და აღსრულებისთვის კანონით გათვალისწინებული ვადების დარღვევა უკარგავს არბიტრაჟს იმ ეფექტურობას, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

წინამდებარე ნაშრომი ეხება სწორედ ამ მნიშვნელოვან ეტაპს - საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, განხილულია მისი სამართლებრივი საფუძვლები და საკითხი იმის თაობაზე, თუ რა დოზით ხდება სასამართლო ხელისუფლების ჩარევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების ნაწილში, განსაზღვრავს ქართულ სამართალში მისი რეგულირების პრობლემას, იმას, თუ როგორ ახდენს სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას და ხომ არ ეწინააღმდეგება სასამართლო პრაქტიკა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი ერთმანეთს.

2.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი შინაარსი

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება მნიშვნელოვანი ეტაპია მხარეებისთვის, ვინაიდან კონკრეტული შედეგი, იქნება ეს სამართლებრივი, თუ ეკონომიკური, დგება ცნობისა და აღსრულების პროცედურის გავლის შემდეგ.

ტერმინი „ცნობა“ და „აღსრულება“ თანაბრად გამოიყენება როგორც სასამართლო, ასევე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ.¹¹ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა, თავისი არსითა და სამართლებრივი შედეგით, განსხვავდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისაგან. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა წინ უსწრებს მის აღსრულებას. ცნობა გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისთვის სამართლებრივი ძალის მინიჭებას სასამართლოს მხრიდან, რაც შესაბამის ქვეყანაში (სადაც მოხდა ცნობა) საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ანიჭებს იურიდიულ ძალას.¹² რაც

¹⁰ http://www.tbappeal.court.ge/appealAllFiles/files/appeal_docs/1578898878__-389526368.pdf - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 11.05.2020

¹¹ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბილისი, 2008, გვ. 425, ვებ-გვერდი library.court.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.06.2020წ)

¹² გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის, ლიანა ქარცივაძე და სხვები, მთავარი რედაქტორი სოფიო ტყემალაძე, გვ. 94

შეეხება გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევას, გულისხმობს სასამართლოს მიერ იმის დადასტურებას, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება იძულებით იქნეს აღსრულებული.¹³ პრაქტიკაში, როგორც წესი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას საარბიტრაჟო მოსარჩელე ერთდროულად ითხოვს.

1958 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული კონვენციის „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ (ნიუ-იორკის კონვენცია), რომელიც საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ უნივერსალურ საერთაშორისო სამართლებრივ აქტს წარმოადგენს და რომელსაც საქართველო მიუერთდა პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით, მესამე მუხლი განამტკიცებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების მთავარ პრინციპს, რომლის თანახმად, კონვენციის ხელშემკვრელი თითოეული სახელმწიფო აღიარებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სავალდებულოობას და აღსრულებს მას იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმების მიხედვით, სადაც მოითხოვება მისი აღსრულება, კონვენციის შესაბამისი მუხლების გათვალისწინებით. ამასთან, იქვე დამატებულია, რომ დაუშვებელია არსებითად უფრო მეტად მძიმე პირობების, ან უფრო მაღალი გადასახადების დაწესება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისთვის, ვიდრე ეს დაწესებულია შიდა გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებისათვის.¹⁴ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ მოქმედებს თეორია, რომელიც ქართულად შეგვიძლია „გათანაბრების თეორიად“ ვთარგმნოთ. ამის მიხედვით, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნას და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას. მაშასადამე, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს.¹⁵ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულებად გამოცხადება შეიძლება დახასიათდეს, როგორც ქვეყნის საზღვრებს გარეთ მიღებული სასამართლო აქტის ნაციონალურ სამართალში გადმოტანის პროცესუალურ-სამართლებრივი ინსტიტუტი.¹⁶

¹³ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბილისი, 2008, გვ. 427, ვებ-გვერდი library.court.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.06.2020წ)

¹⁴ Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards (New York, 1958), Article 3

¹⁵ ლევან გოთუა, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2010, გვ. 14

¹⁶ ლევან გოთუა, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2010, გვ. 14-15

საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ ითვალისწინებს როგორც საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებას სავალდებულო წესით, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების. აღნიშნული კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის მიზნებისათვის უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო.¹⁷

ამრიგად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, ცნობისა და აღსრულების სახით წარმატებით მოქმედებს ე.წ. Second look doctrine - დოქტრინა, რომლის თანახმადაც საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ექვემდებარება ორმაგ სასამართლო კონტროლს: 1. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, უფლებამოსილია გააუქმოს ეს გადაწყვეტილება. 2. კონტროლის საშუალებას წარმოადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ნიუ-იორკის კონვენციით გათვალისწინებული მოწესრიგება.¹⁸

2.3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურა

საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ ადგენს ფორმალურ მოთხოვნებს იმ მხარის მიმართ, რომელმაც წარადგინა შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე. კერძოდ, სასამართლოს უნდა წარედგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი (საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი გადაწყვეტილებებისთვის) ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი, აგრეთვე ამ კანონის მე-8 მუხლში მითითებული საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან

¹⁷ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 2010წ, 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

¹⁸ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბილისი, 2008, გვ. 425, ვებ-გვერდი library.court.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.06.2020წ)

მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან შეთანხმება არ არის შესრულებული ქართულ ენაზე, მხარემ უნდა წარმოადგინოს ასევე ქართულ ენაზე ამ საბუთების სათანადოდ დამოწმებული თარგმანი.¹⁹ ეს მოთხოვნები შესაბამისობაშია ნიუ-იორკის კონვენციით განსაზღვრულ დებულებებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორიგინალი ელექტრონული დოკუმენტი არ არსებობს. ორიგინალად ვერ მივიჩნევთ მყარ დისკზე შენახულ მონაცემს, რომლის გახსნა და კოპირება უამრავჯერ შეიძლება. მყარი დისკის სასამართლოში წარდგენა საკმაოდ ორიგინალური, გაბედული ინიციატივა იქნებოდა. არსებობს მოსაზრება, რომ შეიქმნას ელექტრონული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ერთიანი მონაცემთა ბაზა მთელი მსოფლიოს მასშტაბით სადაც შესაბამისი საარბიტრაჟო ინსტიტუტები (ODR providers – online dispute resolution provider) შეიყვანენ ყველა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას რომელიც საბოლოოა მოცემულ საქმეზე. ამგვარად, სასამართლოებს შესაძლებლობა ექნებათ შემოაწმონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რეალურობა და შესაბამისად იმსჯელონ მის ცნობასა და აღსრულებაზე.²⁰

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მოთხოვნით შუამდგომლობის წარდგენის უფლება გააჩნია პირს, რომლის სასარგებლოდაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება. შესაბამისად, აუციელებლია შუამდგომლობის ავტორი წარმოადგენდეს უფლებამოსილ პირს.

რაც შეეხება წარსადგენი დოკუმენტების დედნის თუ ასლის დამოწმების სათანადოობას, ჰააგის კონვენციის მონაწილე ქვეყანაში გაცემული დოკუმენტი აპოსტილით უნდა იყოს დამოწმებული, ხოლო თუ დოკუმენტი გაცემულია იმ ქვეყანაში, რომელიც არ არის “უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის გაუქმების შესახებ” ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენციის მონაწილე, ასეთი დოკუმენტები უზენაეს სასამართლოს უნდა წარედგინოს ლეგალიზებული სახით და ქართულ ენაზე სათანადოდ დამოწმებული (სანოტარო წესით დადასტურებული თარგმანი).²¹ შუამდგომლობას, რომელიც წარედგინება სააპელაციო სასამართლოს, უნდა დაერთოს იმავე სახის დოკუმენტები, რაც ზემოთ აღნიშნულია.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე მხარის შუამდგომლობა ეგზავნება იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია აღნიშნული

¹⁹ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 2010წ, 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი

²⁰ გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბილისი, 2008, გვ. 430, ვებ-გვერდი library.court.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.06.2020წ)

²¹ გიორგი თითბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, კომენტარი, თბილისი, 2017, გვ. 151-152

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. ამ უკანასკნელს შეუძლია შეტყობინების მიღებიდან 7 დღის ვადაში წარადგინოს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განცხადება. სასამართლო საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ მხარის განცხადების მიღებაზე განჩინებით უარს ამბობს, თუ არ დაკმაყოფილდა მისი საჩივარი აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იმავე საფუძვლით გაუქმების შესახებ, რა საფუძვლითაც მხარე ითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმას, ან თუ მხარემ არ გაასაჩივრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.²² ეს ვადა კი განისაზღვრება შემდეგნაირად: მხარემ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარი სასამართლოში შეიძლება წარადგინოს ამ გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 90 დღის განმავლობაში.²³

მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას შემდეგ გარემოებაზე:

- საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია, ან იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია;

- იგი არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები;

- საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკეებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება ცნობილ და აღსრულებულ იქნეს ნაწილობრივ, მხოლოდ იმ

²² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997წ, 356²¹ მუხლის 2¹ ნაწილი

²³ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 2010წ, 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი

ნაწილში, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში მოქცეულ საკითხებზე გადაწყვეტილებას შეიცავს;

- არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონის მოთხოვნებს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა;

- საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა იგი გააუქმა ან შეაჩერა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ეს გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი.²⁴

რაც შეეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების სასამართლოს მიერ განხილვის ფორმას, აღნიშნული საკითხები განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხების განხილვასა და გადაწყვეტას.²⁵

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე შუამდგომლობას უნდა დაერთოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რომლის ოდენობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია შემდეგნაირად: საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებაზე – 150 ლარს, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.²⁶

და ბოლოს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების თაობაზე შეტანილ შუამდგომლობასთან დაკავშირებით განსჯადი სასამართლო იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას: აკმაყოფილებს მას ან უარს ეუბნება შუამდგომლობის ავტორს, თუ არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი. აღნიშნული საფუძვლები ვრცელდება განხილული მომდევნო ქვეთავში.

რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღების ვადას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356²¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს

²⁴ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 2010წ, 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

²⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997წ, 356²¹ მუხლის მე-2 ნაწილი

²⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997წ, 39-ე მუხლის ა² ნაწილი

განჩინების ფორმით, ამ მუხლის 2¹ ნაწილით გათვალისწინებული განცხადების წარდგენიდან ან მის წარსადგენად განსაზღვრული 7-დღიანი ვადის გასვლიდან (რომელიც უფრო ადრე იყო) არაუგვიანეს 30 დღისა. იმავე მუხლის 2¹ ნაწილში კი მოცემულია: საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე მხარის შუამდგომლობა ეგზავნება იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. ამ უკანასკნელს შეუძლია შეტყობინების მიღებიდან 7 დღის ვადაში წარადგინოს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განცხადება.²⁷ თუმცა პრაქტიკაში გადაწყვეტილების მიღების ვადა შორსაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადისაგან. წინამდებარე ნაშრომში მოცემული სტატისკური მონაცემები საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ საარბიტრაჟო პროცესის არაეფექტურობაში. ცნობა-აღსრულებისთვის კანონით გათვალისწინებული ვადების დარღვევა უკარგავს არბიტრაჟს იმ ეფექტურობას, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. იმ შემთხვევაში, თუ არ შეიცვალა პრაქტიკა ცნობა-აღსრულების თაობაზე შეტანილი შუამდგომლობების განხილვის ვადასთან დაკავშირებით, აზრი დაეკარგება მთლიანად საარბიტრაჟო პროცესს და შემცირდება მასზე მოთხოვნა, რაც კვლავ მიგვიყვანს სასამართლოების გადატვირთულობამდე და იმ უარყოფით შედეგამდე, რაც საქმის სასამართლოში განხილვას გააჩნია.

2.4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები

მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, შეუძლია მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება. ასევე მას გააჩნია მეორე მექანიზმი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წინააღმდეგ: მოითხოვოს მის ცნობა-აღსრულებაზე უარი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებასა და მის ცნობასა და აღსრულებაზე უარს ერთი და იგივე საფუძვლები აქვს.

იმისათვის, რომ მხარეებს ეს მექანიზმი ბოროტად არ გამოეყენებინათ, ხოლო სასამართლოებს განსხვავებული სტანდარტით არ ეხელმძღვანელათ (მაგალითად, როდესაც ერთმა სასამართლომ მხარეს უარი უთხრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე, ხოლო მეორე სასამართლომ იგივე საფუძველი დაკმაყოფილებულად

²⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997წ, 356²¹ მუხლის მე-3 და 2¹ ნაწილი

ჩათვალა ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის პროცესში), 2015 წელს ცვლილება შევიდა არბიტრაჟის შესახებ კანონის 42-ე²⁹ და 45-ე³⁰ მუხლებსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებში (356²¹ და 356²⁴ მუხლები). ცვლილებების შედეგად დადგინდა, რომ სასამართლო არ მიიღებს მხარის განცხადებას საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ, თუ ერთხელ უკვე განიხილა მისი საჩივარი ამავე გადაწყვეტილების გაუქმებაზე იდენტური საფუძვლით და არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა. ასევე არ მიიღებს განცხადებას, თუ მხარემ არ გაასაჩივრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება კანონით დადგენილ 90 დღეში.²⁸

ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის განჩინება, რომლის საფუძველზეც მხარეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადების მიღებაზე ეთქვა უარი. სასამართლომ განმარტა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მიზნებისათვის გასული უნდა იყოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების 90 დღიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც, მხარეს მითითებული გადაწყვეტილება სადავოდ არ გაუხდია და არ გაუსაჩივრებია. წინააღმდეგ შემთხვევაში, კრედიტორი ვალდებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მიზნით სასამართლოსათვის მომართვის შემთხვევაში, წარმოადგინოს საარბიტრაჟო საქმეში მონაწილე მხარეების ფაქტობრივი მისამართები და ასევე განცხადება თანდართული მასალითურთ იმდენი ასლის სახით, რამდენი მოპასუხეცაა საქმეში.²⁹ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნისთვის კანონით არ არის დაწესებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის 90-დღიანი ვადის უშედეგოდ გასვლა, ან სხვა პირობა. ერთადერთი, რასაც კანონი და საპროცესო კოდექსი უზრუნველყოფენ, არის ის, რომ ერთი სასამართლოს უარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნაზე (ან ამ მოთხოვნის ვადის გასვლა) იყოს საბოლოო და გამოირიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ (იმავე ინსტანციის) სხვა კოლეგიამ ზუსტად იგივე საფუძველი საკმარისად ჩათვალოს ცნობა-აღსრულების მოთხოვნაზე უარის თქმისთვის; ე.ი. გამოირიცხოს ერთი და იმავე

²⁸ არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, სოფიო ტყემალაძე და სხვები, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, თებერვალი 2018, გვ. 28

²⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის განჩინება, საქმე #28/1101-15.

გარემოების ურთიერთსაწინააღმდეგოდ შეფასების შესაძლებლობა.³⁰ შესაბამისად, იკვეთება სასამართლოს მხრიდან ნორმის არასწორი განმარტება.

საარბიტრაჟო განხილვის მხარეს ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მიეცეს პროცესში მონაწილეობის და საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა წინააღმდეგ შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება დაუშვებელია.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები მოცემულია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც შესაბამისობაშია ნიუ-იორკის კონვენციასთან. კანონით ერთნაირთ სამართლებრივი რეჟიმი დაწესებული საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ ცნობისა და აღსრულების თვალსაზრისით.

ნიუ-იორკის კონვენცია და საერთაშორისო აღსრულების რეჟიმი ერთ-ერთი მიზეზია, თუ რატომ ამჯობინებენ საერთაშორისო კომპანიები არბიტრაჟის გამოყენებას. დავის შემთხვევაში ისინი შეიძლება დარწმუნებული იყვნენ, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება მოხდება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. ახლა როცა საქართველო აღსრულების ამ რეჟიმის წევრია, საერთაშორისო კომპანიები უფრო მეტად მოისურვებენ აქ ინვესტიციების განხორციელებას.³¹

მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მხარეს შეიძლება უარი ეთქვას ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ:

ა) მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, სასამართლოს განცხადებით მიმართავს და დაამტკიცებს, რომ:

ა.ა) საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია, ან იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია;

³⁰ არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, სოფიო ტყემალაძე და სხვები, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, თებერვალი 2018, გვ. 29

³¹ სტივენ მ. ოსტერმილერი, დილენ რ. სვენსონი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 262

ა.ბ) იგი არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები;

ა.გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება ცნობილ და აღსრულებულ იქნეს ნაწილობრივ, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში მოქცეულ საკითხებზე გადაწყვეტილებას შეიცავს;

ა.დ) არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონის მოთხოვნებს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა;

ა.ე) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა იგი გააუქმა ან შეაჩერა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ეს გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი;

ბ) სასამართლო დაადგენს, რომ:

ბ.ა) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;

ბ.ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.³²

მხოლოდ მითითებულ მუხლში ჩამოთვლილი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში არ დაკმაყოფილდება შუამდგომლობა და სწორედ ეს ჩამონათვალია, რაც შეუძლებელს ხდის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის საკითხის დადებითად გადაწყვეტას. თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ 45-ე მუხლის დასაწყისში ვკითხულობთ: „მხარეს შეიძლება უარი ეთქვას“. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა კანონში მითითებული საფუძვლების არსებობისას სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს? მითითება უფლებამოსილებაზე („უფლებამოსილია გააუქმოს“, „შეიძლება უარი ეთქვას“)

³² საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 2010წ, 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

საშუალებას აძლევს სასამართლოს, ძალაში დატოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მაშინაც კი, თუ არსებობს მისი გაუქმების კანონით დადგენილი საფუძველი. თუმცა, ეს გამონაკლისია და არ უნდა აღიქმებოდეს სასამართლოს თვითნებობის საშუალებად. საერთაშორისო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა ის პრინციპები და შემთხვევები, როდესაც შესაბამისი საფუძვლის არსებობის მიუხედავად გამართლებულია დისკრეციის გამოყენება გადაწყვეტილების ძალაში დატოვებისა ან მისი ცნობა-აღსრულებისთვის. ასეთ პრინციპთა შორისაა, მაგალითად, მინიმალური/არაარსებითი დარღვევის (de minimis) პრინციპი.³³ სასამართლო პრაქტიკის თაობაზე ინფორმაცია მოცემულია ნაშრომის შესაბამის თავში - სასამართლო პრაქტიკა.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლში მოცემული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები შესაბამისობაშია გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) მიერ მიღებული საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ მოდელური კანონის (UNCITRAL-ის მიერ მომზადებული მოდელური კანონის მიზანია დაეხმაროს სახელმწიფოებს საარბიტრაჟო კანონმდებლობისა და პროცედურების რეფორმირებაში ისე, რომ მოხდეს მათი კანონმდებლობის თანამედროვე სტანდარტებსა და საერთაშორისო არბიტრაჟის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე ჰარმონიზაცია. ის მოიცავს საარბიტრაჟო პროცესის ყველა ეტაპს საარბიტრაჟო შეთანხმების, საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნისა და იურისდიქციის საკითხებს, ასევე სასამართლოს მხრიდან საარბიტრაჟო პროცესში ჩარევის (ცნობა-აღსრულების გზით) ასპექტებს.³⁴ 36-ე მუხლში მითითებულ დამაბრკოლებელ გარემოებებთან.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლი ჩამოთვლის მხოლოდ პროცესუალურ საფუძვლებს, რომლებიც გამორიცხავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას. რაც შეეხება მატერიალურ საფუძვლებს, ამას აღნიშნული კანონი არ ითვალისწინებს, რადგან არ დაიშვება პროცესუალური საფუძვლების გარდა სხვა საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა, რადგან ეს ეწინააღმდეგება კანონის მიზანს - საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობას. სწორედ აქედან გამომდინარეობს აპელაციის მექანიზმის არარსებობა, რაც განასხვავებს სასამართლო გადაწყვეტილებებისაგან.

³³ გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის, ლიანა ქარცივაძე და სხვები, მთავარი რედაქტორი სოფიო ტყემალაძე, გვ. 117.

³⁴ არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, ბექა ინჯია, ნათია ლაპიაშვილი, სამეცნიერო რედაქტორი ლადო ჭანტურია, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, გვ. 63

საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე უნდა იყოს უფლებამოსილი დადოს გარიგება. არის თუ არა გარიგება ნამდვილი, დამოკიდებულია იმაზე, საარბიტრაჟო შეთანხმების დადების დროს მხარე წარმოადგენდა თუ არა უფლებამოსილ და ქმედუნარიან პირს. ჩვენთვის ცნობილია, რომ საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება წარიმართოს არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს შორის, არამედ შეიძლება მხარეს წარმოადგენდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე. კანონი არ განსაზღვრავს, თუ რომელი სამართლის მიხედვით უნდა შემოწმდეს მხარეთა ქმედუნარიანობა ან უფლებამოსილების ქონა. ვინაიდან კოლიზიური სამართლის საკითხები წესრიგდება საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მიხედვით, პირების უფლებაუნარიანობა-ქმედუნარიანობის შესაფასებლად გამოსაყენებელი სამართლის არჩევისას, სასამართლო უნდა დაეყრდნოს სწორედ ამ კანონს. ფიზიკური პირების შემთხვევაში, აღნიშნული კანონი ადგენს, რომ „ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება“. პირის ქვეყნისადმი „სამართლებრივი კუთვნილება“ განისაზღვრება მისი მოქალაქეობით, ამდენად, ქმედუნარიანობა უნდა დადგინდეს იმ ქვეყნის სამართლით, რომლის მოქალაქეც არის იგი. მაგალითად, საფრანგეთის მოქალაქის ქმედუნარიანობა დადგინდება საფრანგეთის სამართლის მიხედვით.³⁵ რაც შეეხება იურიდიულ პირს, იმავე კანონის თანახმად, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ეს წესი გამოიყენება იურიდიული პირის ფილიალის მიმართაც.³⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თუ მხარდაჭერის მიმღები დებს გარიგებას სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის მიღების გარეშე, გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომ მხარდამჭერი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარდაჭერის მიმღები ამ გარიგებით სარგებელს იღებს.³⁷ საარბიტრაჟო შეთანხმების შემთხვევაში კი ცალსახაა, რომ გარიგებით მხარე არ იღებს სარგებელს. შესაბამისად, აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა საარბიტრაჟო შეთანხმების დადებაზე.

საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, მაგალითად, ფიზიკურ პირსა და იურიდიულ პირს შორის ელექტრონულად დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება. როგორც ცნობილია,

³⁵ გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის, ლიანა ქარცივაძე და სხვები, მთავარი რედაქტორი სოფიო ტყემალაძე, გვ. 125

³⁶ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, 1998წ, 24-ე მუხლი

³⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997წ, მუხლი 58¹

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი სავალდებულოდ მოითხოვს ასეთ დროს საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობითი ფორმით დადებას. რაც შეეხება საარბიტრაჟო შეთანხმების ძალადაკარგულად გამოცხადებას, „ძალადაკარგული საარბიტრაჟო შეთანხმება არის საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც გარკვეული დროის პერიოდში იყო ნამდვილი, მაგრამ შემდგომ დაკარგა სამართლებრივი ძალა.“ იგი მოიცავს „უფლებაზე უარის თქმას, გამოთხოვას, მოშლას ან საარბიტრაჟო შეთანხმების შეწყვეტას“. მაგალითად, იმავე მხარეებს შორის წარმოშობილია დავა იმავე საკითხზე და იმ სამართლებრივი საფუძვლით, რომლის თაობაზეც უკვე მიღებულია ძალაში შესული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო შეთანხმება იქნება ძალადაკარგული, ვინაიდან მხარეთა შორის დავა პრეიუდიციული (*res judicata*) ძალის მქონეა.³⁸

კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მოითხოვს, რომ მხარე უფლებამოსილი იყოს არბიტრის დანიშვნის, საარბიტრაჟო განხილვის შესახებ და მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, წარადგინოს საკუთარი პოზიცია, დაიცვას ინტერესები. ამ უფლების მოსპობა ქმნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველს. თუმცა საგულისხმოა, რომ სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, *de minimis* პრინციპიდან გამომდინარე, სამართლიანი პროცესის პრინციპების დარღვევის დადგენა ყოველთვის არ იწვევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას ან ცნობა-აღსრულებაზე უარს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება ან ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როცა სამართლიანი პროცესის უფლების დარღვევა აისახა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე და აღნიშნული უფლების განხორციელების შემთხვევაში, სხვა შედეგი დადგებოდა.³⁹ ამასთან, მხარეს შეტყობინება უნდა გაეგზავნოს კანონით დადგენილი წესით. მხარის ინფორმირება სრულად ვერ განხორციელდება, თუ მას შეტყობინება მხოლოდ ერთ მისამართზე გაეგზავნა, მაშინ, როდესაც არბიტრაჟისათვის ცნობილი იყო ალტერნატიული მისამართი ან/და სატელეფონო მონაცემები. ასევე საარბიტრაჟო განხილვის მონაწილეს უნდა ჰქონდეს გონივრული ვადა საკუთარი პოზიციის წარდგენისთვის.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ა.გ ქვეპუნქტის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემთხვევა, როდესაც საარბიტრაჟო მოსარჩელე ითხოვს საარბიტრაჟო მოპასუხისათვის სესხის ხელშეკრულებიდან

³⁸ გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, ავტორები: გიორგი კეკელიძე, სოფიო ტყემალაძე, სამეცნიერო რედაქტორი სოფიო ტყემალაძე, ქართული ტექსტის რედაქტორი მანანა ტაბიძე, საქართველო, 2017წ, გვ. 55

³⁹ გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, ავტორები: გიორგი კეკელიძე, სოფიო ტყემალაძე, სამეცნიერო რედაქტორი სოფიო ტყემალაძე, ქართული ტექსტის რედაქტორი მანანა ტაბიძე, საქართველო, 2017წ, გვ. 131

გამომდინარე 5000 ლარის დაკისრებას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით კი საარბიტრაჟო მოპასუხეს ეკისრება 6000 ლარის გადახდა. ასეთ დროს არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი. თუმცა კანონი იძლევა საშუალებას, რომ მოხდეს გადაწყვეტილების ნაწილობრივი ცნობა-აღსრულება, რაც გულისხმობს იმას, რომ სასამართლო 5000 ლარის ნაწილში ცნობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, ხოლო 1000 ლარის ნაწილში მხარეს უარს ეტყვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ა.დ ქვეპუნქტის ნათელი მაგალითი იქნება შემთხვევა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ არბიტრთა რაოდენობა უნდა ყოფილიყო ხუთი, თუმცა არბიტრაჟის შემადგენლობა განისაზღვრა ერთი არბიტრით, რაც ეწინააღმდეგება მხარეთა შეთანხმებას. იმ შემთხვევაშიც, თუ არ არსებობდა მხარეთა შეთანხმება არბიტრთა რაოდენობაზე, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საარბიტრაჟო ადგილის სამართლის მოთხოვნები. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ ადგენს, რომ თუ არბიტრთა რაოდენობა არ იქნება განსაზღვრული მხარეთა შეთანხმებით, მაშინ არბიტრაჟი უნდა შეიქმნას სამი არბიტრის შემადგენლობით.⁴⁰

ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველია: საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ არის ჯერ სავალდებულო ძალის მქონე მხარეებისათვის, ან იგი გააუქმა ან შეაჩერა იმ ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ, სადაც ეს გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი ან იმ ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ, რომლის კანონმდებლობის მიხედვითაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იქნა მიღებული.⁴¹ აღნიშნულიდან გამომდინარე კი ნათელია, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტში შეტანილი უნდა იქნეს ცვლილება და სასამართლოში წარსადგენ შუამდგომლობაზე დასართავ დოკუმენტებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი ცნობის წარდგენა იმის შესახებ, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, ისევე როგორც ეს გათვალისწინებულია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხთან დაკავშირებით.⁴²

⁴⁰ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 2010წ, მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი

⁴¹ Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards (New York, 1958), Article 5 (1,e)

⁴² გიორგი თითბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, კომენტარი, თბილისი, 2017, გვ. 156

ისევე, როგორც ნიუ-იორკის კონვენციასა და მოდელურ კანონშია გათვალისწინებული, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ ადგენს ცნობა-აღსრულება უარის თქმის ორ საფუძველს, რომელსაც სასამართლო ამოწმებს და არ აქვს მნიშვნელობა იმას, მხარე ამ საფუძველზე უთითებს თუ არა. ერთ-ერთი მათგანია საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი.⁴³ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის. ასევე „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა.⁴⁴ კანონი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ჩამოთვლის, თუ რა დავების განხილვა არ შეიძლება არბიტრაჟის მიერ, თუმცა ასეთი აკრძალვების ამოკითხვა შეიძლება სხვა კანონებში. მაგალითად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 296-ე მუხლის თანახმად, „საგადასახადო დავა შესაძლებელია განხილულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემასა და სასამართლოში“. ეს დებულება პირდაპირ გამორიცხავს არბიტრაჟის განსჯადობას საგადასახადო დავებზე, რადგან ადგენს დავის განმხილველ კომპეტენტურ სხვა ორგანოებს, რაც ამ დავის არბიტრაჟის მიერ განხილვის შესაძლებლობას გამორიცხავს. თუმცა, სასამართლოზე მითითება ყოველთვის არ გულისხმობს ექსკლუზიურად სასამართლო (საჯარო) სისტემის ორგანოებს და რიგ შემთხვევებში უფრო ფართო, მართლმსაჯულებისადმი წვდომის (საჯარო თუ კერძო) ზოგად უფლებას გულისხმობს; ე.ი. მოიცავს დავის არბიტრაჟის მიერ განხილვის შესაძლებლობასაც. იმის გასარკვევად, კანონი უბრალოდ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას ანიჭებს პირს, თუ ადგენს დავის განხილვის მიმართ სასამართლოს ექსკლუზიურ კომპეტენციას, შესაფასებელია თვით ნორმის ფორმულირება და მიზანი.⁴⁵ კანონმდებლობაში გვხვდება ჩანაწერები იმის თაობაზე, რომ კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს და მისი განხილვა სხვა ორგანოს კომპეტენციას არ განეკუთვნება, მათ შორის არც არბიტრაჟს. მაგალითად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ვკითხულობთ: აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო

⁴³ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 2010წ, 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტი

⁴⁴ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 2010წ, 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი

⁴⁵ გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, ავტორები: გიორგი კეკელიძე, სოფიო ტყემალაძე, სამეცნიერო რედაქტორი სოფიო ტყემალაძე, ქართული ტექსტის რედაქტორი მანანა ტაბიძე, საქართველო, 2017წ, გვ. 22-23

კოდექსით დადგენილი წესით.⁴⁶ შესაბამისად, დადგენილია კონკრეტულად სასამართლოს უფლებამოსილება და გამოირიცხება სხვა ორგანოს კომპეტენცია.

რაც შეეხება მეორე საფუძველს - საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს, აღნიშნულ საკითხს დაეთმობა ცალკე თავი, ვინაიდან ჩანაწერი ზოგადი ხასიათისაა, არ გვხდება განმარტება საჯარო წესრიგის შესახებ, არაერთგვაროვანია სასამართლო პრაქტიკა, შესაბამისად საჭიროებს საფუძვლიან შესწავლას.

2.5. საჯარო წესრიგის განმარტება და საჯარო წესრიგი, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი

საჯარო წესრიგის ცნება ცნობილია თითქმის ყველა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლისათვის, მაგრამ მისი დეფინიცია არც დოქტრინით და არც კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. იგი გადაწყვეტილების გასაჩივრების, აგრეთვე მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ყველაზე ბუნდოვანი საფუძველია.⁴⁷ იგი არც ქართული სამართლებრივი სივრცისთვისაა ახალი. მისი შემოღება საქართველოში დაკავშირებულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსთან.⁴⁸ საჯარო წესრიგი გვხვდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სამ მუხლში: კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს, რომ ჩვეულებანი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად მხოლოდ მაშინ, „თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს“. კოდექსის 54-ე მუხლი ბათილად ცნობს გარიგებებს, რომლებიც „ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს“. 61-ე მუხლის თანახმად კი, გარიგების „დადასტურება მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილი, როცა ხელშეკრულება ან გარიგება არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს და საჯარო წესრიგის მოთხოვნებს“. ცნების წარმომავლობიდან გამომდინარე, პროფესორი ლადო ჭანტურია სასურველად მიიჩნევს ფრანგული გამოცდილების განხილვას, რომელიც განასხვავებს პოლიტიკურ საჯარო წესრიგს და ეკონომიკურ საჯარო წესრიგს.

⁴⁶ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 1994წ, 53⁴-ე მუხლის მე-2 პუნქტი

⁴⁷ ნიკოლოზ ფიცხელაური, ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2015, გვ. 129-130

⁴⁸ ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 1997, გვ. 362.

პოლიტიკური საჯარო წესრიგი მოიცავს სახელმწიფოს, ოჯახის და ინდივიდის ძირეულ ინტერესებს. ამ ასპექტებით საჯარო წესრიგის ხელყოფის მაგალითებად მოყვანილია ამომრჩევლების ხმების მოსყიდვა, ბავშვებით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეკრულებები, ა.შ. ეკონომიკური საჯარო წესრიგი, სხვათა შორის, მოიცავს მონოპოლიებისა და კონკურენციის ურთიერთობებს, ისევე როგორც სოციალურად ნაკლებად დაცული ფენების ინტერესების უზრუნველყოფას. ტერმინი „საჯარო წესრიგი“ ხელახლა, და როგორც აღმოჩნდა აქტუალურად, იქნა შემოტანილი ქართულ სამართალში 2009 წელს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მიღებით.⁴⁹

პროფესორი ბ. ზოიძე საჯარო წესრიგის ცნებას შემდეგნაირად განმარტავს: „მასში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტალური პრინციპები, როგორიცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლებანი და ა.შ. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ იგი ვნებას აყენებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს“.⁵⁰

მხარეთა ავტონომია და თავისუფლება მიმართონ არბიტრაჟს, სასამართლოს ნაცვლად, დავის გადასაწყვეტად ავტომატურად გულისხმობს იმ კონკრეტული საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენტურობის აღიარებას მხარეთა მიერ, რომელსაც მათ მიმართეს და შესაბამისად, ამ ტრიბუნალის მიერ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მატერიალური ნაწილის, შინაარსის უცილობლად აღიარებას. სწორედ აქედან გამომდინარეობს არბიტრაჟის ინსტიტუტში, სასამართლოებისაგან განსხვავებით, აპელაციის მექანიზმების არარსებობა.⁵¹ თუმცა, რიგ გარემოებებში საბოლოობის პრინციპის დაცვა შეიძლება ბოლომდე ვერ უზრუნველყონ და წარმოიშვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის რისკი. აღნიშნული რისკი შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობით ან აღსრულებით საფრთხე ექმნება ქვეყნის საჯარო წესრიგს. ამ უკანასკნელის დარღვევის დაუშვებლობა კი, თავის მხრივ, ემსახურება ქვეყნის კანონიერი ინტერესების დაცვასა და მართლწესრიგის განმტკიცებას. შესაბამისად, საარბიტრაჟო დავების გადაწყვეტისას, ხშირ შემთხვევაში შეიძლება სასწორზე იდოს ორი უმნიშვნელოვანესი

⁴⁹ სოფიო ტყემალაძე, „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი, (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), ქართული ბიზნეს საამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, თბილისი, 2013, გვ. 14

⁵⁰ ნიკოლოზ ფიცხელაური, ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2015, გვ. 130

⁵¹ გიორგი თითბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, კომენტარი, თბილისი, 2017, გვ. 25

პრინციპი, რომელთაგან ერთ-ერთის გაუთვალისწინებლობამ კერძო პირის ან სახელმწიფოს ფუნდამენტური ინტერესების შელახვა შეიძლება გამოიწვიოს. საკითხის კომპლექსურობიდან და სირთულიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობას და, თუნდაც, ერთსა და იმავე იურისდიქციას მიკუთვნებულ სასამართლოებს აქვთ სხვადასხვა მიდგომა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას, რაც იწვევს სასამართლო პრაქტიკის განსხვავებულობასა და არაერთგვაროვნებას. პრაქტიკაში საჯარო წესრიგის დარღვევა შეიძლება მრავალი ფორმით გამოვლინდეს: არბიტრთა მოსყიდვა და მიკერძოებულობა, ხელშეკრულებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ზნეობრივ პრინციპებსა ან/და ქვეყნის ინტერესებს, კერძოდ, თაღლითობისა და კორუფციული გარიგებების შედეგად დადებული ხელშეკრულებები და ა.შ.⁵²

საჯარო წესრიგთან დაკავშირებული დათქმა, რომელიც მოცემული „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში სრულ შესაბამისობაშია ნიუ-იორკის კონვენციის V პუნქტის 2b ქვეპუნქტთან და საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ UNCITRAL-ის მოდელური კანონის 34-ე მუხლთან (პუნქტი b,ii). აღნიშნული მუხლებით დადგენილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველი: საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება ეწინააღმდეგება იმ ქვეყნის საჯარო წესრიგს, სადაც მოითხოვება მისი ცნობა და აღსრულება.⁵³ ნიუ-იორკის კონვენცია არსებითად ეფუძნება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ალტერნატიული კონტროლის ორმაგ მოდელს: ერთი მხრივ, იგი არ უკრძალავს წევრ სახელმწიფოებს, თავიანთი კანონმდებლობით დაარეგულირონ შიდა (ეროვნული) არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა გაუქმებისა თუ ცნობა-აღსრულების წინაპირობები და პროცედურა, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ადგენს ნაციონალურ დონეზე უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების (ან მასზე უარის თქმის) უნიფიცირებულ მექანიზმს. ეს მექანიზმი, მათ შორის, იმასაც გულისხმობს, რომ საარბიტრაჟო ფორუმში ტრიბუნალის გადაწყვეტილების სასამართლო წესით არგასაჩივრება (ან წარუმატებელი გასაჩივრება), ჩვეულებრივ, არ ართმევს უფლებას წაგებულ მხარეს, მესამე სახელმწიფოში გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ეტაპზე ისარგებლოს კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული შესაგებლის წარდგენის უფლებით. უფრო მეტიც, როგორც სამართლებრივ ლიტერატურაში აღნიშნავენ, მხარეთა

⁵² დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, თეო კვირიკაშვილი და სხვები, მთავარი რედაქტორი ირაკლი ბურდული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, გვ. 8

⁵³ Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards (New York, 1958)

საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ UNCITRAL-ის მოდელური კანონი - https://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998_Ebook.pdf

წინასწარი შეთანხმების საფუძველზე კი, ნიუ-იორკის კონვენციით დადგენილ ზემოაღნიშნულ მუხლში განმტკიცებული კონტროლოს რეჟიმის გამორიცხვა დაუშვებელია. ამდენად, სწორედ არბიტრაჟში წაგებული მხარე წყვეტს, დაცვის როგორ სტრატეგიას აირჩევს საკუთარი ინტერესების დასაცავად. მოგვიანებით, ნიუ-იორკის კონვენციით განმტკიცებულ ამ მიდგომას დაეყრდნო გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიაც არბიტრაჟის მოდელურ კანონზე მუშაობისას.⁵⁴

ნიუ-იორკის კონვენცია არ განმარტავს საჯარო წესრიგის ცნებას, რაც მის ერთ-ერთ სისუსტედ არის მიჩნეული. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ სახელმწიფო არის უფლებამოსილი, საკუთარი პრინციპებიდან გამომდინარე, თავად განსაზღვროს საკუთარი საჯარო წესრიგი. სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკიდან თუ თეორიული მასალებიდან გამომდინარე, განისაზღვრა საჯარო წესრიგის თითქმის უნივერსალური დეფინიცია. “საჯარო წესრიგი წარმოადგენს ყველა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ეკონომიკური, სამართლებრივი, მორალური, პოლიტიკური, რელიგიური და სოციალური ფუნდამენტური სტანდარტების ერთობლიობას,” რაც უზარმაზარ სამართლებრივ სივრცეს მოიცავს.⁵⁵

პრაქტიკაში საჯარო წესრიგი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების შედავების ისეთი საფუძველია, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება. თუმცა, საქართველოში საჯარო წესრიგი გაცილებით ხშირად ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის საფუძველი, ვიდრე ამას საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს. ასევე უნდა ითქვას, რომ ის განმარტება, რასაც საჯარო წესრიგს სასამართლოები აძლევენ, რისკის ქვეშ აყენებს როგორც არბიტრაჟის დამოუკიდებლობას, ისე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპს. საჯარო წესრიგის გარდა სასამართლოს სხვა საშუალება იმისა, რომ გადაწყვეტილების არსებითი ნაწილი შეცვალოს, არ გააჩნია. სასამართლოს მხრიდან კონტროლი უნდა განხორციელდეს კანონის მიზნიდან გამომდინარე, შეზღუდულად, რათა ზიანი არ მიაღგეს არბიტრაჟის არსს და მის უპირატესობებს. სწორედ ამ საშიშროების გამო, პროფესორმა ლუკას მისტელისმა საჯარო წესრიგს პარადოქსი უწოდა. მისი თქმით, „საჯარო წესრიგი უნდა იყოს ფარი, რათა არ მოხდეს ისეთი გადაწყვეტილებების აღსრულება, რომლებიც მიუღებელ შედეგს იწვევენ.

⁵⁴ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გამორიცხვა მხარეთა წინასწარი შეთანხმებით -რამდენიმე მოსაზრება UNCITRAL-ის მოდელური კანონის მაგალითზე, დავით აბესაძე, VI გამოცემა, 2017, გვ. 41

⁵⁵ ნიკოლოზ ფიცხელაური, ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2015, გვ. 131

მაგრამ საჯარო წესრიგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ხმალი იმის ხელში, ვისაც სურს განახორციელოს კონტროლი და შეზღუდოს საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მობილურობა ან საბოლოობა”. საჯარო წესრიგის ამგვარი პარადოქსული ბუნება განაპირობებს იმას, რომ იგი პრაქტიკაში ყველაზე ხშირად წამოწეული საფუძველია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმების მოთხოვნის მიზნით. ამავე დროს, საჯარო წესრიგი ის საფუძველია, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში არ იზიარებენ სასამართლოები.⁵⁶

საჯარო წესრიგი შეიძლება მოიცავდეს როგორც დავის მატერიალურ (შინაარსობრივ), ისე პროცესუალურ ნაწილს. პროცესუალური საჯარო წესრიგი ეხება არბიტრაჟის მიმდინარეობის პროცესს, მაშინ როდესაც მატერიალური საჯარო წესრიგი დაკავშირებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების არსთან. პროცესუალური საჯარო წესრიგის მაგალითებია პირის უფლება, იყოს ინფორმირებული საარბიტრაჟო წარმოების შესახებ და მიეცეს საშუალება, დაიცვას საკუთარი ინტერესები, პირის უფლება, მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა არბიტრმა. მატერიალური საჯარო წესრიგის მაგალითი შეიძლება იყოს მონოპოლიის და კონკურენციის წესების დარღვევა. უმნიშვნელო პროცესუალური დარღვევები არ შეიძლება გახდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. ასე მაგალითად, ბრემენის ფედერალური მიწის უმაღლესმა სასამართლომ უარყო მოპასუხის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან საარბიტრაჟო ტრიბუნალმა არ გაიზიარა მოპასუხის მოთხოვნა მტკიცებულების მიღების შესახებ, ტრიბუნალის მიერ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს. მართალია, მტკიცებულების წარდგენის შეუძლებლობა შესაძლოა ყოფილიყო მხარის სამართლიანი მოსმენის უფლების დარღვევა მოდელური კანონის 36.1 (ბ) (ii) პუნქტის შესაბამისად, მაგრამ სასამართლომ დაადგინა, რომ ამგვარი უფლების დარღვევას არ ჰქონდა ადგილი ამ შემთხვევაში, ვინაიდან მხარემ ვერ დაამტკიცა, რომ მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. რაც შეეხება მატერიალურ საჯარო წესრიგს, თეორიაში და პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომაა, რომ ის არ გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსის გადასინჯვას და, შესაბამისად, საჯარო წესრიგის დარღვევად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ სახელშეკრულებო დებულებების არასწორი განმარტება, სამართლებრივი ურთიერთობების არასწორი კვალიფიკაცია თუ მტკიცებულებათა შეფასების წესი. არც სავალდებულო, იმპერატიული

⁵⁶ სოფიო ტყემალაძე, „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი, (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), ქართული ბიზნეს სასამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, თბ., 2013, გვ. 16

ნორმების დარღვევა შეიძლება ავტომატურად მიჩნეულ იქნეს საჯარო წესრიგის დარღვევად. იმისათვის, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საჯარო წესრიგის საფუძვლით იქნეს გაუქმებული, იგი წინააღმდეგობაში უნდა მოდიოდეს უფრო მაღალ ღირებულებებთან.⁵⁷

განასხვავებენ საჯარო წესრიგს ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბითაც. თუკი ადგილობრივ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში სასამართლოებმა შეიძლება გაითვალისწინონ მხოლოდ მათი კანონმდებლობიდან გამომდინარე საჯარო წესრიგის ტოლფასი (მატერიალური თუ პროცესუალური) ღირებულებები, უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ დავის საერთაშორისო ხასიათი, საერთაშორისო ვაჭრობის საჭიროებები და საჯარო წესრიგად განიხილონ მხოლოდ ისეთი წესები, რომელთა დაცვა სახელმწიფოს აგრეთვე საერთაშორისო კონტექსტშიც სურს.⁵⁸

ასევე მნიშვნელოვანია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულების პროცესში სასამართლოს მხრიდან ჩარევის ფარგლები. კანონში მოცემული ზოგადი ჩანაწერი საჯარო წესრიგთან დაკავშირებით ხშირად იწვევს კამათს იმის თაობაზე, კონკრეტულ შემთხვევაში იყო თუ არა უფლებამოსილი სასამართლო საჯარო წესრიგის საფუძვლით უარი ეთქვა მხარისათვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე. ინტერესის საგანია ასევე არის თუ არა სასამართლო უფლებამოსილი გამოიკვლიოს მტკიცებულებები, თუ საკმარისია საარბიტრაჟო განხილვის დროს შესწავლილი და გამოკვლეული მტკიცებულებები. სხვადასხვა იურისდიქციას მიკუთვნებულ სასამართლოებს აქვთ განსხვავებული მიდგომა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვის ფარგლები არის შემდეგი: ა) მინიმალური სტანდარტი; ბ) მაქსიმალური სტანდარტი; გ) კონტექსტუალური (შინაარსობრივი) სტანდარტი. სასამართლოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ჩარევის მინიმალური სტანდარტით, შეისწავლიან და იკვლევენ კორუფციის ფაქტებს, რომელთა გავლენითაც არის მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოები რომლებიც იყენებენ მინიმალური ჩარევის სტანდარტს, შესაძლებელია რომ გამოიკვლიონ კორუფციასთან დაკავშირებული საკითხი და

⁵⁷ სოფიო ტყემალაძე, „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი, (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), ქართული ბიზნეს სასამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, თბ., 2013, გვ. 16-17

⁵⁸ სოფიო ტყემალაძე, „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი, (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), ქართული ბიზნეს სასამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, თბ., 2013, გვ. 19

შესაბამისად ხელახლა ამოწმებენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კვლევის შედეგებთან დაკავშირებულ კანონსა და ფაქტებს.⁵⁹

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მაქსიმალური ჩარევის სტანდარტის გამოყენება შესაძლებელია განისაზღვროს, როგორც სრული შესწავლა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ტრიბუნალის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებების ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონის გამოყენებისა. მთავარი საფუძველი სასამართლოების მიერ ამ მიდგომის გამოყენებისას არის ის, რომ დაიცვან მთავარი ნაციონალური ფასეულობები და ინტერესები, რომლებიც ასახვას ჰპოვებს საჯარო წესრიგში. პირველი მთავარი მიდგომა მაქსიმალური სტანდარტის გამოყენებით საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ჩარევისა არის ის, რომ მტკიცებულებები შესაძლებელია გამოკვლეულ იქნას ახლიდან. სასამართლოს აქვს თავისუფლება რომ შეაფასოს ხელახლა მტკიცებულებების ფაქტობრივი გარემოებები და ხელახლა შეამოწმოს არამართო კანონის არასწორი გამოყენება, არამედ კანონის არასწორი განმარტება. მეორე, სასამართლომ შესაძლებელია მიიჩნიოს, რომ მტკიცებულება რომელიც იყო ხელმისაწვდომი საარბიტრაჟო წარმოებისას, მაგრამ არ იყო წარდგენილი ტრიბუნალის წინაშე მოდავე მხარის მიერ. მესამე, სასამართლოს აქვს „სრული კონტროლი“ ყველა განცხადებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების გადახედვისა იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი უარყოფილ იქნა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ.⁶⁰

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საქმე - Thomson-CSF v Frontier AG, რომელიც აღსრულების ეტაპზე იყო ასევე განხილული პარიზის სააპელაციო სასამართლოს მიერ. Thomson-CSF ამტკიცებდა, რომ Frontier AG-ის მიერ საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე წარდგენილი მტკიცებულება იყო თაღლითური და ყალბი, რაც ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს და ამის საფუძველზე წარადგინა სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე იმის მოთხოვნით, რომ გამოეძიებინათ თაღლითური მაქინაცია რომელშიც Frontier AG-ის კომპანიონები მონაწილეობდნენ. მომჩივანი ასევე მოითხოვდა, რომ შეეჩერებინათ წარმოება სანამ არ იქნებოდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დასრულებული. პარიზის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და გამოსცა ბრძანება შეეჩერებინათ წარმოება დაუყოვნებლივ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დაწყებისას (თაღლითური მაქინაციის გახსნამდე), რომელიც

⁵⁹ დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, თეო კვირიკაშვილი და სხვები, მთავარი რედაქტორი ირაკლი ბურდული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, გვ. 10

⁶⁰ დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, თეო კვირიკაშვილი და სხვები, მთავარი რედაქტორი ირაკლი ბურდული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, გვ. 16

მიზანმიმართული იყო თაღლითობის გამოსააშკარავებლად. ეს არ ნიშნავდა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გამოკვლევული მტკიცებულებების ფაქტობრივ გარემოებებში ჩარევას მინიმალური სტანდარტის გამოყენებით. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების უარყოფა საერთაშორისო საჯარო წესრიგის საფუძვლით სასამართლოს ანიჭებდა უფლებამოსილებას საარბიტრაჟო ტრიბუნალის კვლევის შედეგების ყოველმხრივ გამოკვლევას, იმის მიუხედავად წარადგენდა თუ არა აპელანტი თაღლითობის დამამტკიცებელ მტკიცებულებას.⁶¹

საჯარო წესრიგის მნიშვნელობის ბალანსის დასაცავად – საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესანარჩუნებლად, ერთი მხრივ, და საერთაშორისო ვაჭრობაში კორუფციის აღსაკვეთად, მეორე მხრივ – სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ კონტექსტუალური სტანდარტით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას. კონტექსტუალური გადასინჯვა არის გადაწყვეტილების შემოწმების ორსაფეხურიანი მეთოდი. ორსაფეხურიანი სისტემის წამყვანი ნიმუში შემოთავაზებულია საქმეში *Soleimany v. Soleimany*, სადაც ინგლისურმა სასამართლომ აღსრულების ეტაპზე *Beth Din*-ის მიერ მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სიღრმისეულად გამოიკვლია და მიიჩნია, განხილული საკითხები კორუფციად და ძირითადი ხელშეკრულება არაკანონიერად. სასამართლომ დააფიქსირა მოსაზრება *obiter dictum* და აღნიშნა, რომ საჯარო წესრიგის დასაცავად ორსაფეხურიანი სისტემა უნდა გამოყენებულიყო. პირველ ეტაპზე, სასამართლოს უნდა განესაზღვრა მომჩივანი მხარე უზრუნველყოფდა თუ არა *prima facie* მტკიცებულების წარდგენას ხელშეკრულების უკანონობასთან დაკავშირებით და შემდეგ უნდა ეხელმძღვანელათ წინასწარი გამოძიებით (გამომძიება მთლიანი მასშტაბით) იმისათვის, რომ დაენახათ იყო თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სანდო.⁶²

რაც შეეხება საქართველოში არსებულ მიდგომებს საჯარო წესრიგთან დაკავშირებით, საქართველოში არსებობს ძალზედ მანკიერი პრაქტიკა, როდესაც სასამართლოები გარკვეულ შემთხვევებში უხეშად ერევან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მატერიალურ, შინაარსობრივ ნაწილში ცნობა-აღსრულების და გაუქმების ეტაპზე, რაც ცალსახად დამანგრეველია არბიტრაჟის საქართველოში ფეხის მოკიდებისთვის და სათანადოდ განვითარებისთვის. სასამართლოები მსგავს

⁶¹ დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, თეო კვირიკაშვილი და სხვები, მთავარი რედაქტორი ირაკლი ბურდული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, გვ. 17

⁶² დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, თეო კვირიკაშვილი და სხვები, მთავარი რედაქტორი ირაკლი ბურდული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, გვ. 20

გადაწყვეტილებებში არსებითად იშველიებენ “საჯარო წესრიგის” არგუმენტს და სწორედ მის საფუძველზე, იმ არგუმენტით რომ კონკრეტული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს “საჯაროს წესრიგს”, ცვლიან გადაწყვეტილების შინაარსს.⁶³ წინამდებარე ნაშრომის შესაბამის თავში - სასამართლო პრაქტიკა, განხილული იქნება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თაობაზე საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძველით. შესაბამისად, გამოიკვეთება ის პრობლემები და ხარვეზები, რასაც წარმოშობს აღნიშნული ცნების ზოგადი ხასიათი და ბუნდოვანება.

2.6. სასამართლო პრაქტიკა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა- აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე

მოცემულ თავში განხილული იქნება მნიშვნელოვანი და საინტერესო სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს.

დავიწყებ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის ყველაზე გავრცელებული საფუძველით - საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობა. გავანალიზებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებას, რომელთაგან საჯარო წესრიგის განმარტების კუთხით მნიშვნელოვანია 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სარჩელი მხარეებს შორის დადებული შეთანხმების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რის შემდეგაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას საჩივრით მიმართა საარბიტრაჟო მოსარჩელემ და მოითხოვა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმება. ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ურთიერთგამომრიცხავ მტკიცებულებებს და გაყალბებულ დოკუმენტებს ემყარება. მოცემულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება საჯარო წესრიგთან დაკავშირებით, კერძოდ, „თეორიაში და პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომაა, რომ ის არ გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსის გადასინჯვას და ამ თვალსაზრისით,

⁶³ გიორგი თითბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, კომენტარი, თბილისი, 2017, გვ. 25-26

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დასაბუთების მართებულობის შეფასებას სასამართლოს მხრიდან; მოცემული საკითხისადმი ამ პოზიციის შეუსაბამო მიდგომა, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვიდოდა ზემოაღნიშნული კანონის მიზანთან. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას საჯარო წესრიგზე მითითებით არ შეიძლება გადაისინჯოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ასახული სახელშეკრულებო დებულებების განმარტება, მტკიცებულებათა შეფასება, სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაცია, რადგან საჯარო წესრიგი მოიცავს არა ნებისმიერი სახის დარღვევას, არამედ სამართლის ფუნდამენტური პრინციპების უგულვებელყოფას. ე.ი. სხვაგვარად რომ ითქვას, იმისათვის, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძვლით იქნას გაუქმებული, იგი წინააღმდეგობაში უნდა მოდიოდეს უფრო მაღალ ღირებულებებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარო წესრიგი გადაიქცევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აპელაციის მექანიზმად. ასეთი მიდგომა კი წინააღმდეგობაშია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანთან – უზრუნველყოფილი იქნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საბოლოობა”.⁶⁴

მოცემული გადაწყვეტილება არის სანიმუშო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი არბიტრაჟის დამოუკიდებლობა, როგორ უნდა იქნეს განმარტებული საჯარო წესრიგი და როგორი პრაქტიკა უნდა დაამკვიდროს სასამართლომ, რათა არ მოხდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსში გაუმართლებელი ჩარევა.

ზემოთ აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების საპირისპიროდ უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გვხვდება გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზე მხარეს ნაწილობრივ უარი ეთქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე იმ დასაბუთებით, რომ მოთხოვნილი პირგასამტეხლო არის შეუსაბამოდ მაღალი და „ეწინააღმდეგება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დადგენილ კანონის ძირითად პრინციპებს, შესაბამისად საჯარო წესრიგს”.⁶⁵ მსგავსი დასაბუთება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძვლით მხარეს უარი ეთქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე. საჭიროა უფრო ფართო განმარტება, მეტი დასაბუთება, რადგან ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპი ირღვევა ამ დროს, როგორც არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობა. სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი სასამართლოს ანიჭებს შეუსაბამოდ მაღალი

⁶⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, საქმე N28/5858-13.
⁶⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N28/227-11

ოდენობის პირგასამტეხლოს შემცირების უფლებამოსილებას, თუმცა აუცილებელი მოთხოვნაა საქმის გარემოებების გათვალისწინება. ეს ის იშვიათი გამონაკლისთაგანია, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს. თუმცა, ამგვარი ჩარევა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება. კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამასთან, შეფასების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს აშკარა შეუსაბამობა ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პირგასამტეხლოს განსაკუთრებით მაღალი პროცენტიდან, ზიანის უმნიშვნელო ოდენობიდან, ვალდებულების დარღვევის მოკლე ვადიდან და ა.შ. პირგასამტეხლოს „აშკარა შეუსაბამობის“ თაობაზე მტკიცებულებებს წარადგენს პირი, რომელიც მის შემცირებას ითხოვს.⁶⁶ აღნიშნული განმარტების საპირისპიროდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ეტაპზე სასამართლო თავისი ინიციატივით ამცირებს პირგასამტეხლოს მაშინ, როდესაც საარბიტრაჟო წარმოების ეტაპზე მხარეს სადაო არ გაუხდის მისი ოდენობა და არც საარბიტრაჟო ტრიბუნალს მიუჩნევია იგი შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად.

ბრიტანეთის კოლუმბიის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში იმსჯელა არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში სასამართლოს ჩარევის სტანდარტზე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოდელური კანონი მკაცრად ადგენს გარემოებებს, როცა სასამართლოს ჩარევა დაშვებულია. ამდენად, გაუქმების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ უნდა გამოიყენოს სტანდარტი, რომლის მიზანიც იქნება მხარეთა მიერ არბიტრაჟის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანის და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის შენარჩუნება და მინიმუმამდე დაიყვანოს სასამართლოს ჩარევის ფარგლები.⁶⁷

ხშირად ჩნდება კითხვა იმის თაობაზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა შესაბამისი საფუძვლის არსებობისას წარმოადგენს სასამართლოს დისკრეციას თუ ვალდებულებას. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, რომელიც ეხება და ჩამოთვლის საარბიტრაჟო

⁶⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N 28/3112-14

⁶⁷ გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის, ლიანა ქარცივაძე და სხვები, მთავარი რედაქტორი სოფიო ტყემალაძე, გვ. 116

გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს, გვხვდება ასეთი ჩანაწერი: „მხარეს შეიძლება უარი ეთქვას ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე“. საერთაშორისო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა ის პრინციპები და შემთხვევები, როდესაც შესაბამისი საფუძვლის არსებობის მიუხედავად გამართლებულია დისკრეციის გამოყენება გადაწყვეტილების ძალაში დატოვებისა ან მისი ცნობა-აღსრულებისთვის. ასეთ პრინციპთა შორისაა, მაგალითად, მინიმალური/არაარსებითი დარღვევის (de minimis) პრინციპი.⁶⁸

ონტარიოს სააპელაციო სასამართლომ განიხილა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხი და ასევე იმსჯელა დისკრეციის ფარგლებზე. მხარეთა შეთანხმება პირდაპირ მიუთითებდა, რომ მათ ჰქონდათ ტრიბუნალის მიერ ჩანიშნულ ყველა ზეპირ სხდომაზე დასწრების უფლება. მიუხედავად ამისა, ტრიბუნალმა მხარეებს არ შეატყობინა და მათ დაუსწრებლად შეხვდა პირს, რომელიც მხარეებმა დანიშნეს არბიტრად ამავე დავის არბიტრაჟის საშუალებით მოგვარების წინა მცდელობისას. მხარე ითხოვდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას იმ არგუმენტით, რომ აღნიშნული შეხვედრის გამო, საარბიტრაჟო წარმოება წარიმართა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების პირობების უგულებელყოფით. სააპელაციო სასამართლომ, თავისი დისკრეციის ფარგლებში, უარი თქვა გადაწყვეტილების გაუქმებაზე, მიუხედავად იმისა, რომ დაადგინა კანონით გათვალისწინებული პროცეს-სუალური დარღვევა. სასამართლომ განმარტა, რომ მოდელური კანონის მიზანი იყო სამართლიანი პროცესის არსებითი დარღვევების პრევენცია და არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება მცირე პროცედურული გადაცდომების გამო. სასამართლომ მიუთითა, რომ მოდელური კანონის 34.2 მუხლის შეფასებისას, არსებითია კითხვა, თუ რა გავლენა მოახდინა პროცესუალურმა შეცდომამ შედეგის სანდობასა და სამართლიანობაზე; მოცემულ შემთხვევაში კი სასამართლომ ასეთი ზეგავლენა არაარსებითად შეაფასა. სასამართლომ დაადგინა, რომ დისკრეციის გამოყენებისას უნდა შემოწმდეს: (ა) დარღვევის მნიშვნელობა; (ბ) დარღვევის სავარაუდო გავლენა საარბიტრაჟო წარმოების შედეგსა და მის სამართლიანად წარმართვაზე; (გ) სავარაუდო ზიანი, რაც შეიძლება წარმოიშვას საარბიტრაჟო წარმოების ხელახლა ჩატარებით, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმდა; და (დ) გარკვეულ შემთხვევებში, მხარეთა ქმედებები, მას შემდეგ, რაც მათ შეიტყვეს პროცესუალური დარღვევის შესახებ.⁶⁹

⁶⁸ გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის, ლიანა ქარცივაძე და სხვები, მთავარი რედაქტორი სოფიო ტყემალაძე, გვ. 117

⁶⁹ გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის, ლიანა ქარცივაძე და სხვები, მთავარი რედაქტორი სოფიო ტყემალაძე, გვ. 117

საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ. პალატამ განმარტა, რომ საჯარო წესრიგის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო მოპასუხის მისამართად თუნდაც რეგისტრირებული იურიდიული მისამართის მითითება, რომელზეც მოპასუხეს არ ბარდება არბიტრაჟის მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია, არ ათავისუფლებს საარბიტრაჟო მოსარჩელეს მისთვის ცნობილი მოპასუხის ფაქტობრივი მისამართის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით შეტყობინების ვალდებულებისაგან. პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხედ იურიდიული პირის მითითების შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსარჩელეს უნდა მოეთხოვოს ყველა შესაძლო რეკვიზიტის მითითება. ამასთანავე, იურიდიული პირის შემთხვევაში, გარდა მისი იურიდიული მისამართისა, ხელმისაწვდომია ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების ვინაობის დადგენა და მოსარჩელეს აქვს შესაძლებლობა მათი მონაცემებიც მოიძიოს და მიუთითოს არბიტრაჟს. შესაბამისად, საჯარო პუბლიკაციის გამოქვეყნებამდე არბიტრაჟმა საარბიტრაჟო მოსარჩელეს მაქსიმალურად უნდა მოსთხოვოს იურიდიული პირისა და მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების საკონტაქტო მონაცემების მითითება და მხოლოდ ამის შემდგომ შეუძლია იმსჯელოს საჯარო შეტყობინების გამოყენების აუცილებლობაზე. მოცემულ შემთხვევაში კი დგინდება, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელემ მიუთითა მოპასუხის მხოლოდ იურიდიული მისამართი, თუმცა საქმის მასალებიდან დგინდება, რომ სადავო ხელშეკრულებაში მოპასუხის იურიდიული მისამართის გარდა მითითებულია აგრეთვე დირექტორის მისამართიც, რომელზედაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა კორესპონდენცია უნდა გადაგზავნილიყო. ამდენად, პალატის აზრით, საარბიტრაჟო მოსარჩელემ იმთავითვე იცოდა, რომ მოპასუხეს იურიდიულ მისამართზე გზავნილი ვერ ჩაბარდებოდა, ასევე იცოდა მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის თაობაზე, თუმცა ამის შესახებ არ აცნობა არბიტრაჟს და შემოიფარგლა მხოლოდ ფორმალურად მოპასუხის იურიდიული მისამართის მითითებით. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე არ იყო სათანადოდ გაფრთხილებული საარბიტრაჟო სხდომის თაობაზე, რის გამოც არბიტრაჟი არ იყო უფლებამოსილი მიეღო გადაწყვეტილება მხარის დასწრების გარეშე, რის გამოც განმცხადებელს უარი უთხრა გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე.⁷⁰

⁷⁰ ნიკოლოზ ფიცხელაური, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბ., 2015, გვ. 115

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარი თქვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხეებისათვის ორი დღით ადრე სხდომის თარიღის შესახებ ინფორმაციის მიწოდება არ იყო ჯეროვანი ინფორმირება საარბიტრაჟო განხილვის შესახებ, ვინაიდან განსაზღვრული ვადა არ იყო გონივრული იმისათვის, რომ მხარე მომზადებულიყო საქმის განხილვისათვის. დრეზდენის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, რომ გონივრულობის შეფასებისას გასათვალისწინებელია კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, აღნიშნულ საქმეში მხარე დავობდა, რომ ტრიბუნალმა არაგონივრული ვადა განუსაზღვრა მას მეორე მხარის განცხადებაზე საპასუხოდ – რამდენიმე დღე არ იქნებოდა საკმარისი განცხადებით მოთხოვნილი მორიგების დასამტკიცებლად. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში, როდესაც მორიგების პირობებზე მხარეები არ დავობდნენ, მათ განსაზღვრული ჰქონდათ მორიგების ხელშეკრულებიდან გასვლის/შედავების კონკრეტული ვადა. ამ ვადაში ხელშეკრულება არ გამოიხმეს და მხარეს ჰქონდა საკმარისი დრო, კონსულტაცია გაეწოთ თავის იურისტებთან სანამ მორიგებაზე დათანხმდებოდა. ამდენად, არბიტრაჟის განსაზღვრული მოკლე ვადა იყო გონივრული.⁷¹

2.7. ცნობისა და აღსრულების საკითხი სხვა ქვეყნების მაგალითზე

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების განსხვავებას სახელმწიფო კუთვნილების მიხედვით საკმაოდ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. ბევრ ქვეყანაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და შესაბამისად მისი აღსრულებისთვის უფრო ხელსაყრელი პირობებია შექმნილი. მაგალითად, ქვეყნის საჯარო წესრიგთან შეუსაბამობის გამო შიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ მოთხოვნები უფრო მაღალია. მაგალითად, გერმანიაში, ქვეყნის საჯარო წესრიგთან შეუსაბამობის გამო შიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ არსებული მოთხოვნები უფრო მაღალია⁷⁶. გერმანიის უზენაესი სასამართლო, სასამართლოს მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევის განხილვისას ინგლისური სამართლის გამოყენებასთან მიმართებაში, მივიდა დასკვნამდე, რომ ამ შემთხვევაში ზემოთ ხსენებული პრინციპის დაცვის საჯარო

⁷¹ გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის, ლიანა ქარცივაძე და სხვები, მთავარი რედაქტორი სოფიო ტყემალაძე, გვ.133-134

ინტერესს „ნაკლები წონა გააჩნდა“, ვიდრე გერმანული საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის დროს.⁷²

რაც შეეხება საჯარო წესრიგს, თავად დათქმა საჯარო წესრიგის შესახებ მრავალი ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლითაა გათვალისწინებული. მაგალითად, საჯარო წესრიგის დოქტრინით შვედური სამართალი უარყოფს უცხოური სამართლის დებულებების გამოყენებას, თუ მათი გამოყენება დაუპირისპირდება შვედეთის სამართლის სისტემის ფუნდამენტურ პრინციპებს. უცხოეთის კერძო სამართლის დებულებები, რომელიც აწესებს დისკრიმინაციას რასობრივი, ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნის მიხედვით, ვერ იქნებიან გამოყენებული შვედეთში. რუსეთში საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა ერთ პუნქტშია გაერთიანებული რუსეთის სუვერენიტეტის დაცვისა და ამ ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესების მოთხოვნებთან ერთად.⁷³

ნებისმიერი სახელმწიფოს საერთაშორისო საჯარო წესრიგი მოიცავს:

1. სამართლიანობისა და მორალურობის პრინციპებს, რომელთა დაცვა სახელმწიფოს სურს.
2. ნორმებს რომლებიც იცავენ სახელმწიფოს არსებით პოლიტიკურ სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს.
3. სახელმწიფოს ვალდებულებას შეასრულოს ის მოვალეობები, რომელიც მას აქვს სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ.⁷⁴

გერმანული სამართლის მიხედვით, აუცილებელია ე.წ. აღსრულებაუნარიანად გადაწყვეტილების აღიარება. გერმანიაში ქვეყნის შიგნით მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლო ცნობა არ ხდება. გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §1060 პირველი აბზაცი იცნობს მხოლოდ აღსრულების პროცესს. გერმანიაში სასამართლო ცნობა ხდება მხოლოდ ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებისა.

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საფუძველია მისი სასამართლოსმიერი დადასტურება.

⁷² ლევან გოთუა, სადოქტორო ნაშრომი თემაზე „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“, თბილისი, 2010, გვ. 38

⁷³ ლევან გოთუა, სადოქტორო ნაშრომი თემაზე „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“, თბილისი, 2010, გვ. 57

⁷⁴ გიორგი ცერცვაძე, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, გვ. 436

ცნობას არ გააჩნია ფორმა. იგი გვხვდება მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს შინაარსის საჭიროება. შიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე იურიდიული ძალის მინიჭება დამოკიდებულია სახელმწიფო სასამართლოს მიერ კონტროლის განხორციელებაზე.

ინგლისური სამართალი ყველაზე ახლოს დგას საქართველოს კანონმდებლობასთან, რომელიც იმეორებს ნიუ-იორკის კონვენციის ნორმებს. საქართველოს ახალი კანონი არბიტრაჟის შესახებ, განსხვავებით ძველი კანონისგან, ითვალისწინებს, როგორც ქვეყნის შიდა არბიტრაჟების, ისე უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას, რომლის მიხედვით სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის გზით უნდა მოხდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.⁷⁵

„არბიტრაჟის შესახებ“ ინგლისური კანონის 66-ე მუხლი არეგულირებს შიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხს. ამ მუხლის თანახმად გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ არის შესაძლებელი. გადაწყვეტილება რომელიც სასამართლოს ამ შემთხვევაში გამოაქვს, კანონის მიერ იწოდება როგორც ნებართვა აღსრულების შესახებ, ამავე დროს გადაწყვეტილების აღსრულება არ მოხდება, თუ მხარე რომლის წინააღმდეგაც არის გადაწყვეტილება მიმართული, სასამართლოში დაამტკიცებს, რომ არბიტრაჟს არ ჰქონდა კომპეტენცია განეხილა ეს დავა.⁷⁶

გერმანული სამართალი იცნობს ე.წ. კუმულატიურობის პრინციპს, რომელიც გულისხმობს მეორე სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მხოლოდ იმ სამართლებრივი შედეგების ცნობას, რომელიც ამ მეორე სახელმწიფოს კანონმდებლობით არის დასაშვები. მხარეები ხშირად მიმართავენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელმა დაადასტუროს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. ამ დროს დგება საკითხი, რომელი გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს, საარბიტრაჟო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დადასტურდა. გერმანიის უზენაესი სასამართლო მიემხრო დოქტრინაში რ. შლოსერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც კრედიტორს უნდა მიეცეს არჩევანის საშუალება, რათა თვითონ გადაწყვიტოს, რომელს წარადგენს აღსასრულებლად. ფ. შვაბი, ვოლტერი და შუტცე ეწინააღმდეგებიან

⁷⁵ ნიკოლოზ ფიცხელაური, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბილისი, 2015, გვ. 146

⁷⁶ გიორგი ცერცვაძე, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, გვ. 685; 692

ამ მოსაზრებას რამდენიმე არგუმენტის გამო. ჯერ ერთი, ამ დროს ყოველთვის იქმნება ე.წ. ორმაგი აღსრულების საფრთხე, კრედიტორის მიერ ორივე მათგანის წარდგენის შემთხვევაში, და მეორეც, სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცედურა და უარის თქმის საფუძვლები ერთნაირი არ არის. მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე ვერ იქნება უარი ნათქვამი იმ საფუძვლით, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც იყო მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, არ იყო ნამდვილი და ა.შ.

ამერიკაც იცნობს აღნიშნულ ინსტიტუტს. ის გამოიყენება ქვეყნის შიგნით შტატებს შორის და ასევე უცხოური გადაწყვეტილების აღსრულების დროსაც. ანუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება წარედგინება მისი გამოტანის ადგილის მიხედვით შტატის სასამართლოს, რომელიც დაადასტურებს მას. სხვა შტატის სასამართლო აღსასრულებლად მიაქცევს არა უშუალოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც არბიტრაჟის გადაწყვეტილება იქნა დადასტურებული.⁷⁷

ზოგიერთ ქვეყანაში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ ის გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით. ამგვარ მოთხოვნას ითვალისწინებს შვედეთის, ნორვეგიის, ფინეთისა და ნიდერლანდების სამართალი. საერთაშორისო ხელშეკრულების ნაცვლად, გადაწყვეტილების ცნობისათვის ზოგიერთი ქვეყანა მოითხოვს „ნაცვალგების პრინციპის“ გამოყენებას. ამგვარ მიდგომას დღეისათვის მხარს უჭერს ლიხტენშტაინი.

აშშ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობასთან დაკავშირებით საერთაშორისო შეთანხმებების გაფორმებას საკმაოდ ფრთხილად ეკიდება, რადგან ფედერალური კანონმდებლობა ცდილობს თავიდან აიცილოს კონფლიქტი ცალკეული შტატების სამართალთან. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელთ გააჩნიათ თავიანთი დამოუკიდებელი კერძო და პროცესუალური სამართალი, რომლებიც სუბსიდიურად მოქმედებენ არამარტო მათთვის, არამედ ფედერალური სასამართლოებისთვისაც. ამიტომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის საკითხი დამოკიდებულია ცალკეული შტატების სამართლის შეხედულებაზე.⁷⁸

⁷⁷ ნიკოლოზ ფიცხელაური, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბ., 2015, გვ. 148-149

⁷⁸ ზვიად გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, რედ. ლადო ჭანტურია, თბილისი, 2016, გვ. 458

თავი III. კვლევის შედეგები

ნაშრომის ყოველი თავი დაწერილია თეორიული მასალის მეშვეობით, რომელთა საბოლოო ანალიზითაც მივდივართ შედეგებამდე. დასაწყისში სწორედ ამ გამოყენებულ ლიტერატურას მიმოვიხილავთ. შემდეგი თავი შედგება ქვეთავებისაგან, რომლებიც ეხება არბიტრაჟის ზოგადი მიმოხილვას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და

აღსრულებასთან დაკავშირებულ პროცედურას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს, საჯარო წესრიგის განმარტებას, სასამართლო პრაქტიკასა და სხვა ქვეყნების მაგალითზე ცნობისა და აღსრულების საკითხს.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა საქართველოში არბიტრაჟის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები. ასევე ნათლად ჩანს არბიტრაჟის ეფექტურობა დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებთან შედარებით, თუმცა სტატისტიკურმა მეთოდმა აჩვენა თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაა სააპელაციო სასამართლოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების კანონით დადგენილ ვადებში ცნობა-აღსრულების კუთხით. ვადების დარღვევა ეწინააღმდეგება მხარეთა მოლოდინს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მოკლე ვადაში აღსრულდება, რაც უკარგავს არბიტრაჟს ეფექტურობას.

მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს არბიტრაჟის ცნობადობა საზოგადოებაში, ამალღდეს არბიტრთა კვალიფიკაცია და დაწესდეს გარკვეული მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს არბიტრების პროფესიონალიზმის ზრდას და საერთაშორისო ტენდენციების გაცნობას, უნდა აღმოიფხვრას საკანონმდებლო ხარვეზები. ჯერჯერობით არბიტრაჟის ინსტიტუტი არ არის განვითარებული საქართველოში, არ არსებობს არბიტრების თვითრეგულირების მექანიზმი. მნიშვნელოვანია, რომ არ ხდებოდეს პრაქტიკაში ფიზიკური პირების გაუცნობიერებლად ჩართვა საარბიტრაჟო პროცესებში.

სასამართლოს როლი არბიტრაჟის წარმატებით დამკვიდრებასა და განვითარებაში გადამწყვეტია. ეს როლი მოიცავს, ერთი მხრივ, სასამართლოს დახმარებას არბიტრაჟის პროცესში, მეორე მხრივ კი, სასამართლოს მიერ მხოლოდ შეზღუდულ ზედამხედველობას. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო უფრო კეთილგანწყობილი გახდეს არბიტრაჟის მიმართ და პატივი სცეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საბოლოობას. იმ შემთხვევაში, როდესაც უარი იქნება გაცხადებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე, უარის თქმის მიზეზები სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული.

მნიშვნელოვანი პრობლემა გამოიკვეთა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბ.ბ ქვეპუნქტის ჩანაწერში, რომელიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობას იძლევა, თუკი ასეთი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. როგორც აღვნიშნე წინამდებარე ნაშრომში, საჯარო წესრიგის საკითხი საკმაოდ ბუნდოვანი და პრობლემურია ამიტომ კანონმდებლობა და პრაქტიკა არ იძლევა სრულ განმარტებას და ამ საკითხის რეგულირება მთლიანად მოსამართლის ხედვაზეა მინდობილი. აუცილებელია უფრო თანმიმდევრული

პრაქტიკის განვითარება იმასთან დაკავშირებით, თუ რა პრინციპები და წესები შეიძლება ეკუთვნოდეს საჯარო წესრიგს. სასამართლოს საჯარო წესრიგთან დაკავშირებული ჩანაწერი პრაქტიკულად ანიჭებს განუსაზღვრელ შესაძლებლობას ჩაერიოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში, რაც მხარეებს უქმნის განცდას, რომ არბიტრაჟში დრო ფუჭად დაიკარგა. ამ ყოველივეს თავიდან ასაცილებლად, იმისათვის, რომ არბიტრაჟმა შეძლოს ეფექტურად ფუნქციონირება და ნდობა არ დაკარგოს, აუცილებელია დაკონკრეტდეს რა იგულისხმება საჯარო წესრიგში. სასამართლოს არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მოარგოს მხოლოდ და მხოლოდ მის შეხედულებებს, რისთვისაც აუცილებელია ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება.

დასკვნა

არბიტრაჟს, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას, დღესდღეობით აქვს შესაძლებლობა იმისა, რომ დამკვიდრდეს კერძო დავების გადაწყვეტის ეფექტურ, სანდო და პოპულარულ საშუალებად საქართველოში. იმისათვის, რომ ამ პროცესს ხელი შეეწყოს, მნიშვნელოვანია დაწესდეს გარკვეული რეგულირება არბიტრაჟის სამართლიანობისა და გამჭვირვალობის მინიმალური სტანდარტის

უზრუნველსაყოფად. სასამართლოს მხრიდან არ უნდა ხდებოდეს არბიტრაჟის დაკნინება, რაც გამოიხატება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისათვის განუსაზღვრელი ვადების დაწესებით. უნდა დაიხვეწოს სასამართლო პრაქტიკა და კანონმდებლობა. თუნდაც მხოლოდ ის, რომ სასამართლო არ ეთანხმება არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, არ არის საკმარისი ამ საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისთვის. ასე რომ იყოს, საჯარო წესრიგის ნაცვლად იქნებოდა ჩანაწერი შემდეგი სიტყვებით: „ეწინააღმდეგება კანონს“ და ეს გახდებოდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გადახედვის მექანიზმი. ეროვნული კანონის მოდელურ კანონზე დაფუძნებით, კანონმდებელი მიზნად ისახავდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა შეცვლის ამომწურავი და შეზღუდული საფუძვლების დაწესებას. სამწუხაროდ, დღეს არსებული პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი ამ სტანდარტის მიმართ. არა და თავად სასამართლოს აქვს შესაძლებლობა განტვირთოს სასამართლოები და გახადოს არბიტრაჟი მიმზიდველი, თუმცა არსებული რეალობიდან გამომდინარე ხდება არა არბიტრაჟის ხელშეწყობა, არამედ მისი განვითარებისთვის ხელშეშლა.

საჯარო წესრიგთან მიმართებაში საჭიროა ამ ცნების მიმართ ყურადღების გამახვილება, რადგან გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ საჯარო წესრიგი უფრო მაღალ სტანდარტში განიხილოს და პროცესუალური დარღვევები არ განიხილოს როგორც საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობა. საკითხისადმი დამკვიდრებული მიდგომა აკნინებს არბიტრაჟის როლს და მის მიმართ უნდობლობის საფუძველს ქმნის. საჯარო წესრიგის ცნება უნდა განიმარტოს ვიწროდ და გამოყენებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე პროცესუალური ან შინაარსობრივი დარღვევების შემთხვევაში. „ვიწრო განმარტებიდან“ გამომდინარე, მხარის უფლების დარღვევა, წარმოაჩინოს საკუთარი ინტერესები, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს საჯარო წესრიგის დარღვევად (და, შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან ცნობა-აღსრულებაზე უარის საფუძველად), როცა არსებობს მიზეზობრივი კავშირი ასეთ დარღვევასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსს შორის. საჯარო წესრიგის ცნების ვიწრო განმარტება კი ერთის მხრივ შეამცირებს სასამართლოების მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია სახელმწიფომ არბიტრაჟის პოპულარიზაციისკენ აქტიური ნაბიჯები გადადგას და შესაბამისი დამხარება გაუწიოს მის განვითარებას, რაც გაზრდის საზოგადოების ინტერესს და ბევრად წინ წამოწევს ამ ინსტიტუტის მნიშვნელობას. არბიტრაჟი არ ითხოვს ფინანსებს, მას სჭირდება

კანონმდებლობის მხრიდან მხარდაჭერა და ჯანსაღი, თანმიმდევრული სასამართლო პრაქტიკა.

არბიტრაჟის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ არბიტრებს ჰქონდეთ მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების, გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა, რაც განხორციელებადია შესაბამისი საერთაშორისო ცენტრის შექმნით. მნიშვნელოვანია, რომ არბიტრაჟი დამკვიდრდეს ბიზნეს დავებში და ის არ მიიჩნეოდეს მხოლოდ რომელიმე კონკრეტული კომპანიის არბიტრაჟად. აუცილებელია მხარეებს ჰქონდეთ ნდობა მის მიმართ. ამ ყველაფერში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი, რათა არბიტრაჟმა შეძლოს დაკარგული ნდობის დაბრუნება და იმ დადებითი მხარეების წინა პლანზე წამოწევა, რაც მას გააჩნია და რაზეც საუბარს დაეთმო წინამდებარე ნაშრომი.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, ბექა ინჯია, ნათია ლაპიაშვილი, სამეცნიერო რედაქტორი ლადო ჭანტურია, ზვიად კორძამის გამომცემლობა;

2. არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, სოფიო ტყემალაძე და სხვები, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, თებერვალი 2018;
3. ბექა ინჯია, ნათია ლაპიაშვილი, არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, რედ. ლადო ჭანტურია, საქართველო, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016;
4. გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, ავტორები: გიორგი კვეცხაძე, სოფიო ტყემალაძე, სამეცნიერო რედაქტორი სოფიო ტყემალაძე, ქართული ტექსტის რედაქტორი მანანა ტაბიძე, საქართველო, 2017;
5. გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის, ლიანა ქარცივაძე და სხვები, მთავარი რედაქტორი სოფიო ტყემალაძე;
6. გიორგი თითბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, კომენტარი, თბილისი, 2017;
7. გიორგი ცერცვაძე, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008;
8. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, თეო კვირიკაშვილი და სხვები, მთავარი რედაქტორი ირაკლი ბურდული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019;
9. ზვიად გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, რედ. ლადო ჭანტურია, თბილისი, 2016
10. ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 1997;
11. ლევან გოთუა, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2010;
12. ნიკოლოზ ფიცხელაური, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, თბილისი, 2015;
13. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გამორიცხვა მხარეთა წინასწარი შეთანხმებით - რამდენიმე მოსაზრება UNCITRAL-ის მოდელური კანონის მაგალითზე, დავით აბესაძე, VI გამოცემა, 2017;

14. სოფიო ტყემალაძე, „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი, (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, თბილისი, 2013;
15. სტივენ მ. ოსტერმილერი, დილენ რ. სვენსონი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014;
16. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გამორიცხვა მხარეთა წინასწარი შეთანხმებით - რამდენიმე მოსაზრება UNCITRAL-ის მოდელური კანონის მაგალითზე, დავით აბესაძე, VI გამოცემა, 2017;
17. ქეთევან ანდლულაძე, ნაშრომი თემაზე: საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსის ნამდვილობა (შედარებით სამართლებრივი ანალიზი გაეროს მოდელურ კანონთან), თბილისი, 2013;

სასამართლო პრაქტიკა:

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის განჩინება, საქმე #28/1101-15;
19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, საქმე N28/5858-13;
20. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N28/227-11;
21. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N 28/3112-14.

ნორმატიული აქტები:

22. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 2010წ.;
23. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, 1998 წ.;
24. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 1994წ.;
25. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997წ.;
26. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997წ.;
27. საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ UNCITRAL-ის მოდელური კანონი, 1985წ.;

28. Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards (New York, 1958).

ვებ. გვერდები:

29. www.tcc.court.ge

30. www.tbappeal.court.ge

31. www.uncitral.org

32. www.library.court.ge